ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

akhalitaoba.ge

## დონეცკში ზახარჩენკო მოკლეს

— გვ. 8 —



შაბათი – კვირა, 1 – 2 სექტემბერი, 2018 №207 (7752) ფასი: 60 თეთრი

# „ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება სულ სხვა კანდიდატს დაუჭიროს მხარი“



გვ.2

## გოჩა მირცხულავა: „ივანიშვილისგან სიურპრიზს უნდა ველოდოთ“





გვ.3

## რამაზ საყვარელიძე: „მარგველაშვილი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოემზადება“

## ვახტანგ ყოლბაია: „აფხაზებთან უნდა ვილაპარაკოთ“

გვ.4



შამბა არაერთგზის უსვამს ხაზს, რომ საქართველოსთან ურთიერთობა შეიძლება თანაბარ პირობებში, ანუ როგორც ორი თანაბარი სუბიექტის შემთხვევაში

## ახალგორში ქართული ენა აკრძალეს

გვ.3

ქართულად ლაპარაკი საბავშვო ბაღებშიც არ შეიძლება



### სამართალი

გვ.7

მარნეულში 17 წლის მოზარდმა თავი ჩამოიხრჩო



ქართული ფაშისტური მოძრაობის მიერ გავრცელებულ ვიდეოზე შსს-მ გამოძიება დაიწყო





გოშხეთელიანი-ბაკურაძის საქმეზე განაჩენი 1 სექტემბერს გამოცხადდება

ბათუმში ლიფტში ქალის დაჭრაში ბრალდებულს 17 წელი მიესაჯა



### ეკონომიკა

გვ.6




ბანკებში ვადაგადაცილებული სესხები მცირდება

კახა კალაძის განცხადებით, თბილისში ღამის საათებში ავტობუსები სექტემბრის შუა რიცხვებიდან იმოძრავებენ





ბელარუსიდან აჭარაში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 34%-ით გაიზარდა

ISSN 1987-9385

5 ბოლო სამ კვირაში ცემენტის მწარმოებელი 25 ქარხანა გაჩერდა

4 ქრონიკული დაავადებების წამლებს შშ პირები და პენსიონრები ფასდაკლებით მიიღებენ

2 თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა მსოფლიოში უდიდესი ავიაგადამზიდი მიიღო

5 შოთა მალაშხია: „ისეთი პრეზიდენტი გვჭირდება, რომელიც ანგელა მერკელს შეეკამათება“

შორენა მარსაგიშვილი

# „ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება სულ სხვა კანდიდატს დაუჭიროს მხარი“

## გოჩა მირცხულავა: „ივანიშვილისგან სიურპრიზს უნდა ველოდოთ“

**რა სახიფათო გზა აირჩია „ოცნებამ“, რატომ ვერ მოატყუებენ საერთაშორისო თანამეგობრობას, რა უნდა მოიმოქმედოს ივანიშვილმა? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.**





**გოჩა მირცხულავა:**

— „ქართული ოცნების“ სპიკერებისგან ჩვენ ვისმენთ ერთსა და იმავე განცხადებებს, რომ დაელოდებიან 8 სექტემბერს და შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით. „ახალი თაობისთვის“ მიცემულ ერთ-ერთ წინა ინტერვიუში ვარაუდი გამოვთქვი, რომ ამ დროისთვის შესაძლოა ივანიშვილმა საკუთარი კანდიდატი შეარჩიოს და რომელიმე დამოუკიდებელი კანდიდატი მშრალზე დატოვოს.

ნებისმიერ მოცემულობაში, ქართველი საზოგადოება იმსახურებს იმას, რომ იცოდეს, თუ ვის დაუჭერს მმართველი პარტია მხარს. ის, რასაც ამ წუთას „ოცნების“ სპიკერები აკეთებენ, სხვა არაფერია თუ არა პოლიტიკური ხიტრობა — თვალში ნაცარს გვაყრიან და გვეუბნებიან, რომ არავის არ უჭერენ მხარს.

***— იქნებ მართლა ასეა და ჯერ გადაწყვეტილება მართლაც არა აქვთ მიღებული?***

— მეეჭვება, რომ გადაწყვეტილება მიღებული არ იყოს. ერთ-ერთი დამოუკიდებელი კანდიდატი ამბობს, რომ მას 8 სექტემბრის მერე ივანიშვილთან ექნება კონსულტაციები.

***— ეს დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილია?***

— დიახ. „ოცნების“ ლიდერებს მოეწონათ ხალხის გაბრიყვება. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. მან ბიძინა ივანიშვილის ბოლო ინტერვიუმდე კარგა ხნით ადრე განაცხადა, „ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატი ყველა ვარიანტში მოიგებს საპრეზიდენტო არჩევნებსო.

ეს ქართველი ამომრჩევლის ღირსების შელახვაა. ვიცით, რომ „ოცნება“ მხარს უჭერს ზურაბიშვილს და მისი კანდიდატურა რომელიმე ოპოზიციურ პარტიას რომ დაესახელებინა, მაშინ როგორი იქნებოდა ამ ადამიანის მიმართ „ოცნების“ სპიკერების დამოკიდებულება?

საკრალურ 8 სექტემბრამდე ერთი კვირაა დარჩენილი. ერთ კვირაში რაღაც განცხადებას გააკეთებენ, მაგრამ წინასწარ გეტყვით, ეს არ იქნება ახალი სიტყვა დემოკრატიაში.

საზოგადოების დიდ ნაწილს არ გვჯერა, რომ „ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატი ნამდვილად დამოუკიდებელია. „ოცნება“ გვეუბნება, რომ მათ ჰყავთ საკონსტიტუციო უმრავლესობა, სრულად აკონტროლებენ თვითმმართველობებს და ამიტომ ამბობენ უარს საპრეზიდეტო კანდიდატის დასახელებაზე. ეს პარტიული განვითარებისთვის ნონსენსია.

მართალია, განცხადებას ასეთს აკეთებენ, მაგრამ ყველანი ვხედავთ, რომ პარტიის ცენტრალური შტაბი, რეგიონული ორგანიზაციები, კოორდინატორები აქტიურად მუშაობენ. აშკარაა, რომ მმართველი პარტია მხარს უჭერს ვიღაცას. ეს ვიღაცა მისი კანდიდატია და არა — დამოუკიდებელი.

მაღალი დემოკრატიული ხარისხით შეფუთული სიცრუის ჩვენ არ გვჯერა და როგორ გგონიათ, დასავლელი პარტნიორები დაიჯერებენ ამას? რასაც „ოცნება“ აკეთებს, ეს დემოკრატიის ნებისმიერი ნორმის დამახინჯებაა. უფრო სწორად თუ ვიტყვით, დემოკრატიული პროცესის შეურაცხყოფაა.

პოლიტიკა ზოგადად სიყალბეს ვერ იტანს, რადგანაც ეს სიყალბე ცუდად მოტრიალდება ხოლმე.

***— ქართული პოლიტიკაც ვერ იტანს სიყალბეს?***

— ვერც ქართული პოლიტიკა ვერ იტანს. რაც მეტ სიყალბეს შემოიტანს ხელისუფლება პოლიტიკაში, მით უფრო მძიმე იქნება მისი დასასრული. ეს ქვეყნისთვისაც ცუდია.

ამ თემაზე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს ვესაუბრე. ყველა მათგანს აქვს ასეთი პოზიცია — რატომ გვატყუებს და რატომ გვეთამაშება ხელისუფლება. ეს ძალიან ცუდი შედეგით შეიძლება დასრულდეს.

ძალიან მნიშვნელოვანია თავად პრეზიდენტის ინსტიტუტი. ჩვენ არაერთხელ მოგვისმენია „ოცნების“ ლიდერებისგან, რომ პრეზიდენტს არა აქვს არანაირი უფლებები და ვალდებულებაც კი.

ვინმეს ხომ არ ავიწყდება, რომ საქართველო ამ წუთას საომარ მდგომარეობაში იმყოფება. კონსტიტუციის 49-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი არის პრეზიდენტი. რას ვაკეთებთ და ვის ვუტყაპუნებთ თავში ხელს.

ვართ საომარ მდგომარეობაში, ჩვენ წინაშე დგას უამრავი გამოწვევა, საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარეობს ჰიბრიდული ომი. ამას თავად თუ ვერ ხვდებიან, პარლამენტში დევს უსაფრთხოების ანგარიში და ნახონ, რა წერია ამ მიმართულებით.

მმართველმა პარტიამ თავი უნდა დაანებოს კობახიძის ჭკუაზე სიარულს და პრაგმატული გადაწყვეტილება მიიღოს. თუ „ოცნებას“ საკუთარი კანდიდატი არ ეყოლება, მაშინ მათ მხარდამჭერებს თავისუფალი არჩევანის უფლება უნდა მისცენ. გადგნენ ცოტა ხნით გვერდზე და თუ საქმე მეორე ტურამდე მივიდა, მაშინ დააფიქსირონ რომელიმე კანდიდატის მიმართ მხარდაჭერა.

სააკაშვილი შეიძლება ბევრს არ მოსწონდა, მაგრამ მან ერთი პოზიტიური ნაბიჯი ნამდვილად გადადგა — 2012 წლის 1 ოქტომბერს აღიარა დამარცხება და ოპოზიციაში გადავიდა. ეს ნამდვილად იყო დემოკრატიული სტანდარტების გაუმჯობესება. „ოცნებაც“ ამ გზით უნდა წავიდეს, მანაც უნდა გააუმჯობესოს დემოკრატიული სტანდარტი.

***— პრეზიდენტის პოსტზე უარის თქმა მმართველი პარტიის მიერ არ გააუმჯობესებს დემოკრატიის სტანდარტს?***

— გულწრფელად თუ იტყვის „ოცნება“ უარს საპრეზიდენტო კანდიდატზე, მაშინ შეიძლება გააუმჯობესოს. ახლა ფაქტია, რომ მმართველი პარტია ერთ-ერთი კანდიდატის მხარდაჭერას აპირებს. ეს დემოკრატიის სტანდარტის გაუმჯობესება კი არა, ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრაა. კიდევ ვამბობ, პოლიტიკური ხიტრობა პოლიტიკას არ უხდება.

***— ამ პოლიტიკური ხიტრობის უკან ივანიშვილს რამე სხვა ხომ არა აქვს ჩაფიქრებული?***

— არა მგონია. მმართველმა გუნდმა გადაწყვიტა, მოატყუოს ხალხი და დასავლეთი. ჰგონიათ, რომ ამას დემოკრატიულ ნაბიჯად ჩაუთვლიან. ამით იმის დამტკიცებაც უნდათ, რომ საქართველოში არაფორმალური მმართველი არ არსებობს.

საპრეზიდენტო კანდიდატზე უარის თქმა, იდეაში, შეიძლება კარგი იყოს, მაგრამ ნებისმიერ ნაბიჯს სჭირდება სწორი გაგრძელება. გაგრძელება თუ ისეთი იქნა, როგორიც ახლა არის, ყველა ლურჯმაისურიანი და 41 ნომრიანი სხვა მაისურს ჩაიცვამს და შემოხაზავს იმ კანდიდატს, ვისაც პარტიული ლიდერები დაასახელებენ.

თუ ასეთი არაფრის მომცემია ეს თანამდებობა, რატომ იკლავენ მმართველი პარტიის ლიდერები კონკრეტული კანდიდატის მხარდასაჭერად თავს?

ხომ თქვა ივანიშვილმა, კარგი იქნება, თუ დამოუკიდებელი კანდიდატი გაიმარჯვებსო, თუ არადა წაიღოს ეს პოსტი ოპოზიციამ. არ მესმის, რატომ მიდიან პარტიის ლიდერები ამის წინააღმდეგ. გაუგებარია, რატომ დაიწყეს მათ ასეთი აქტიური მუშაობა ცესკოში.

***— მმართველი პარტია ივანიშვილის წინააღმდეგ მიდის?***

— ივანიშვილის წინააღმდეგ რას გაბედავენ, ლოგიკის წინააღმდეგ მიდიან. უბრალოდ, ეს ლიდერები მიეჩვივნენ, რომ მათთვის სასურველი რეალობად წარმოაჩინონ. ჰგონიათ, რომ მათი მოსაზრებები ერთი ერთში ემთხვევა ივანიშვილის მოსაზრებებს, რაც ასე ნამდვილად არ არის.

***— ივანიშვილის დუმილიც იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მას სხვა რამე აქვს ჩაფიქრებული?***

— წინა ინტერვიუში გითხარით, რომ ის თავის თანაპარტიელებს აკვირდება. ის პროცესებსაც აკვირდება. საინტერესო რამ ხდება იმ დამოუკიდებელი კანდიდატის გარშემოც, ვის მხარდაჭერასაც „ოცნება“ აპირებს. ამ ადამიანმა უკვე დაიწყო წინადადებების და აზრის დასრულება. ეტყობა, მას ვინმე გონიერმა უთხრა, რომ სხვანაირად უნდა მოიქცეს.

***— ივანიშვილი პროცესებს აკვირდებაო და მისგან რაიმე სიურპრიზს ხომ არ უნდა ველოდოთ?***

— არაა გამორიცხული. არის დათქმა, რომ 8 სექტემბერს მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას. ამ დროისთვის პარტიის ლიდერი კონსულტაციებს გაივლის, გააკეთებს ანალიზს და შესაძლოა სულ სხვა კანდიდატურას დაუჭიროს მხარი და არა იმას, ვისაც ახლა „ოცნება“ ლობირებს.

# ლუკაშენკო: „ლოთი ხელმძღვანელი არ არის“



ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო მზად არის საკადრო ცვლილებები ზოგიერთი ხელმძღვანელი პირის ლოთობის გამო განახორციელოს. ლუკაშენკომ ცოტა ხნის წინ საკადრო ცვლილებები განახორციელა, შეცვალა ქვეყნის პრემიერი, უმრავლესი ვიცე პრემიერები და ზოგიერთი უწყების ხელმძღვანელი, ბელორუსის ლიდერმა განაცხადა, რომ ამით საკადრო ცვლილებები არ დაუსრულებია.

— საჯაროდ მინდა ვთქვა ლოთობის დაუშვებლობაზე. მრცხვენია ამაზე საუბარი, თუმცა ბევრი ხელმძღვანელი პირი, რომელიც ცოტა ხნის წინ გავათავისუფლე, საკმაოდ ბევრს სვამდა. მე ხომ არ ვაკონტროლებ, ვისთან სვამთ, ვისთან დადიხართ აბანოში, ვის ესაუბრებით. შეგერგოთ. თქვენ ხელმძღვანელები ხართ, თქვენ უნდა იცოდეთ ეს ყველაფერი. თუმცა, რაც შეეხება ლოთობას, უნდა იცოდეთ ზომა, უნდა იცოდეთ ვისთან, სად და რამდენი დალიოთ. თუ ამის შეგრძნებას დაკარგავთ, თქვენ ხელმძღვანელი არ ხართ. სწორედ ამ მიზეზით, უახლოეს დროში ჩვენ მოგვიწევს ზოგიერთთან დამშვიდობება, — განაცხადა ლუკაშენკომ.

# თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა მსოფლიოში უდიდესი ავიაგადამზიდი მიიღო




მსოფლიოში ყველაზე დიდი სტრატეგიული ავიაგადამზიდი Antonov An-225 Mriya თბილისის საერთაშორისო აეროპორტშია.

ავიაგადამზიდი უკრაინის სსრ-ში 1985 წელს დამზადდა, პირველი ფრენა კი 1988 წელს შეასრულა. მისი წონა ტვირთის გარეშე 285 ტონაა, სიგრძე — 84 მეტრი, სიგანე კი — 18.2 მეტრი. ის ყველაზე დიდი ავიაგადამზიდია, რომელიც კი ოდესმე შექმნილა.

ტვირთმზიდობის მაჩვენებლით, Antonov An-225 Mriya-ს არაერთი რეკორდი აქვს მოხსნილი, მათ შორის, 2001 წელს, როცა, ჯამში, 253.820 კგ ტვირთი გადაზიდა.

# გიორგი ვოლსკი: „ასე არ არის, რომ მამიკინსმა თქვა და ჩვენ დავტრიალდით“



ევროპარლამენტი საქართველოს ხელისუფლებას უშიშროების სამსახურის რეფორმას სთხოვს. ბრიუსელი თბილისს მოუწოდებს, სუს-დან ანტიკორუფციული სამსახური გამოყოს. თუმცა, ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი ამბობს, რომ ევროპარლამენტარების რეკომენდაცია არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება მსჯელობის გარეშე გაატარებს მითითებულ რეფორმებს.

— რეალობაში ეს არის ობიექტური მოხსენება. ეს არის საექსპერტო შეფასება, შეხედულებები, რომელზეც მსჯელობაა საჭირო. ასე არ არის, მამიკინსმა თქვა და უცებ ჩვენ დავტრიალდით და გავაკეთეთ სტრუქტურული ცვლილებები, მაგრამ, როგორც ყოველთვის, საინტერესოა მოხსენება. ევროკავშირის მომხსენებელი საინტერესო დასკვნებს აკეთებს. მან საკმაოდ დიდი ხანი ექსპერტების ფართო ჯგუფთან ერთად იმუშავა. ვფიქრობ, საკმაოდ ეფექტურია ის სტრუქტურა, რომელიც მუშაობს. ხელოვნური გამოყოფები და დაყოფები არ მგონია, რომ მოგვიტანდეს რაიმე პოზიტიურ შედეგს, თუკი ამის უკან არ იქნა გარკვეული გონიერი სტრატეგიული გეგმა, — ამბობს გია ვოლსკი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რამაზ საყვარელიძე: „მარგველაშვილი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოემზადება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.**

***– ბატონო რამაზ, მარგველაშვილმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. როგორ აფასებთ გიორგი მარგველაშვილის 5-წლიან მოღვაწეობას? ბოლო წუთამდე არ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, სულ გვესმოდა შეფასებები, „ოცნების“ ნერვებზე თამაშობს.***

– არ ვიცი, იყო თუ არა ეს ნერვების ომი. პრინციპში, ხელისუფლებასთან ურთიერთობის წესი დიდი ხნის გარკვეულია ხოლმე. ახლა მთელ მის გამოსვლაშიც კრიტიკული ფორმულირება ჰქონდა ხელისუფლების მიმართ მარგველაშვილს.

***– თქვენ რითი ხსნით ამ კრიტიკულობას?***

– იმით, რომ მას სურდა, პრეზიდენტის ინსტიტუტის დამოუკიდებლობისთვის ებრძოლა და მეტ-ნაკლებად გამოუვიდა. ამ ბრძოლაში მას ეწინააღმდეგებოდა ყველაზე მეტად ის, ვისგანაც იყო ამ ინსტიტუტის დამორჩილების საფრთხე. ანუ საპარლამენტო უმრავლესობა.

საერთაშორისო ასპარეზზე მისი პოლიტიკა ყოველთვის მკაფიო და ევროპაზე ორიენტირებული იყო. სკანდალები თითქმის არ ჰქონია. რასაც საერთაშორისო ასპარეზზე პრეზიდენტის მოღვაწეობა ჰქვია, მეტ-ნაკლები წარმატებით გაიტანა ბოლომდე.

***– სკანდალები ახსენეთ და ძირითად საახლობლო-სანათესაოს შეწყალებაზე იყო მის მიმართ პრეტენზიები.***

– ეს შიდა, საგარეოში არ ჰქონია სკანდალები. მას ერთ-ერთი ფუნქცია შეწყალების ჰქონდა და აქ გაუჩნდა პრობლემები.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ თქვა უარი, მეორე ვადით ეყარა კენჭი?***

– საერთოდ, პოლიტიკოსები ცდილობენ, არ გადადგან ნაბიჯი, რომელიც მათ უფრო დაბალ რეიტინგულ საფეხურზე გადაიყვანს.

***– ანუ ფიქრობდა, რომ მისი შანსები მცირე იყო?***

– გამარჯვებისთვის შეიძლება მცირე იყო და მონაწილეობის შემთხვევაში, შეიძლება ისეთი შთამბეჭდავი არ ყოფილიყო მისი რეიტინგი, როგორც ახლა არის. ახლა, ყოველგვარი რეიტინგების გარეშე, მას საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ერქმევა და მას არ ექნება საპრეზიდენტო არჩევნებში წაგებული პირის იარლიყი.

***– ამაყად წავა ამ თანამდებობიდან? და სად წავა?***

– რა თქმა უნდა. მე ამას ადრეც ვვარაუდობდი და ახლაც ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ის პარტიის შექმნას აპირებს და ამ სახით მიიღებს პოლიტიკაში მონაწილეობას.

***– ეს იგულისხმა, როდესაც განაცხადა, ვრჩები ქვეყნის სამსახურშიო? პოლიტიკაში რჩება?***

– მე მგონია, რომ პოლიტიკაში რჩება.

***– და რისთვის ემზადება, 2020 წლისთვის?***

– ალბათ 2020-ში საპარლამენტო არჩევნებისთვის, მე მაინც ასე ვვარუდობ. შესაძლოა, ჩემი სურვილიც არის ეს ვარაუდი, რადგან მიმაჩნია, რომ მარგველაშვილი არის ის ფიგურა, რომლის გაქრობაც ქართული პოლიტიკიდან სასურველი ნამდვილად არაა. ის კარგი რიტორია, გლობალური ხედვები კარგი აქვს, კარგი პოლიტიკური ორიენტაციები აქვს და თუ შეინარჩუნებს თავის პოლიტიკურ მოტივაციებს, საკმაოდ საინტერესო ფიგურა შეიძლება იყოს, თუ საინტერესო გუნდსაც შეაგროვებს.

***– თქვენ ვის მოიაზრებთ მის გუნდში?***

– დათო უსუფაშვილს. არ გამოვრიცხავ იმას, რომ მარგველაშვილმა თანამშრომლობა შეძლოს „ქართული ოცნებიდან“ წასულ სხვა ფიგურებთან.

***– კერძოდ?***

– თუნდაც იგივე კვირიკაშვილთან.

***– კიდევ რომელ პოლიტიკურ ფიგურებს მოიაზრებთ მარგველაშვილის გუნდში?***

– ალბათ იმ აპარატს, რომელიც პოლიტიკოსებისგან დააკომპლექტა მარგველაშვილმა. მაგალითად, ფიქრია ჩიხრაძე, ასევე, ვინც ჩასვა თავის აპარატში, მაგალითად, აბაშიშვილი. იქ კიდევ არის ივლიანე ხაინდრავა, ძალიან საინტერესო პოლიტიკური ფიგურა.

***– იმის თქმა გინდათ, რომ კარგ გუნდს შეკრებს მარგველაშვილი?***

– ნამდვილად. საინტერესო ფიგურები მას აპარატშიც ბევრი ჰყავს.

***– მერკელმა ჩამოიტანა მესიჯები, რომ 2020 წელს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. სწორედ ამან ხომ არ გამოაცოცხლა ოპოზიციური სპექტრი?***

– მერკელის ეს განცხადება მეც მოვისმინე, მაგრამ მსგავსი დასკვნა ვერ გამოვიტანე. ეს განცხადება გამომდინარეობდა იქიდან, რომ რა მახასიათებელი ნიშნები აქვს დემოკრატიას. დემოკრატიას ნამდვილად ახასიათებს ის, რომ უსასრულოდ არ უნდა იყვნენ პარტიები ხელისუფლებაში. თვითონ მერკელის პარტია რამდენი წელია, რაც არის ხელისუფლებაში?! ის, რომ პარტიამ უნდა იფიქროს იმაზე, რომ მას მოუწევს კონკურენტებისთვის ადგილის დათმობა, ეს არის დემოკრატიის ნიშანი. ამ განცხადებებში მე ვერ ამოვიკითხე იმის მინიშნებაც კი, რომ ეს ეხება დღევანდელ ხელისუფლებას.



***– ანუ თქვენ არა გაქვთ ეს მოლოდინი, რომ 2020-ში ხელისუფლება შეიცვლება?***

– მოლოდინი მექნება მაშინ, თუკი გამოჩნდება ალტერნატივა. შევარდნაძის პერიოდში ასეთი ალტერნატივის სახით მკაფიოდ იყო გამოკვეთილი რეფორმატორების ჯგუფი. სააკაშვილის პერიოდში იმაზე, რომ სააკაშვილი უნდა წასულიყო, მეტყველებდა დემონსტრაციების დიდი რიცხვი 2004 წლიდან მოყოლებული, უკმაყოფილების მაღალი დონე და ივანიშვილის მიმართ ნდობის მაღალი ხარისხი. დღეს არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ ასეთი მაღალი ნდობის ხარისხი არ ჩანს.

***– ვერც უკმაყოფილებას ხედავთ?***

– დღეს ხელისუფლების მიმართ მოწონების ხარისხი ისეთი არაა, როგორიც ადრე იყო, მაგრამ შეურიგებლობა, პროტესტი, ისეთი, როგორიც სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ იყო, დღეს არ არის.

# ახალგორში ქართული ენა აკრძალეს

## ქართულად ლაპარაკი საბავშვო ბაღებშიც არ შეიძლება

შორენა მარსაგიშვილი

**ახალგორის რაიონში, რომელსაც ოსები ოკუპაციის შემდეგ ლენინგორად მოიხსენიებენ, ქართულად ლაპარაკი აიკრძალა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მშობლიურ ენაზე ლაპარაკს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებსაც კი უკრძალავენ.**

ამ მხრივ განსაკუთრებული სიმკაცრე ახალგორის ახალ საბავშვო ბაღშია. ეს ბაღი ცოტა ხნის წინ გაიხსნა. მის გახსნას ცხინვალის რეგიონის მოქმედი მამა, ანატოლი ბიბილოვიც დაესწრო.

ახალ საბავშვო ბაღს ახალი დირექტორიც დაუნიშნეს. ალა გუსოევა ეტყობა ჯერ ოსურად საუბრისას წაუქართულებენ კიდევაც, რასაც დირექტორი ჭკუიდან გადაჰყავს.

ეს ქალი ბავშვების მშობლებსაც ეჩხუბება და საშინელ დანაშაულშიც სდებს ბრალს – ოს მშობლებს აბრალებს, რომ ისინი სახლში ქართულად საუბრობენ.

ახალგორელები ახალ დირექტორს სხვა მიზეზების გამოც უჩივიან. ამბობენ, რომ მას პედაგოგიური გამოცდილება არა აქვს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართული ენის აკრძალვის გამო უკმაყოფილებას ოსი მშობლებიც გამოთქვამენ. ერთ-ერთმა ოსმა ქალმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ ბავშვის ქართულად ლაპარაკის გამო მას პირადად დირექტორმა მისცა შენიშვნა.

ეს ქალი ფიქრობს, რომ ბაღში მისი შვილიც გამოთათხეს. ამბობს, რომ მის შვილს ბაღში წასვლა აღარ უნდა.

ახალგორში ქართულ ენას უკვე კარგა ხანია ებრძვიან, მაგრამ საბავშვო ბაღებში ასეთი აკრძალვები არასდროს ყოფილა.

სამოქალაქო აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ამ აკრძალვაზე ბევრი სმენია.




ქართველებზე ძალიან არის აღრენილი, რადგან სწორედ მან აუკრძალა ბავშვებს ქართულ ენაზე ლაპარაკი.

ქართული ენის მოძულე ქალი სოფელ წინაგარის მკვიდრი გახლავთ და თავის დროზე ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტიც დაუმთავრებია.

სამუშაოს დაწყებისთანავე მან ქართულად ლაპარაკი აკრძალა. ბავშვებს ქართულად ვერც მასწავლებელი დაელაპარაკება და ვერც გადია. ერთმანეთში ქართულად ლაპარაკის უფლება არც პატარა ბავშვებს აქვთ.

გამოცემა „ეხო კავკაზას“ ცნობით, ამ ბაღში ქართველების გარდა ოსი ბავშვებიც სწავლობენ. აკრძალვის მიუხედავად, ეტყობა, ამ ბაღში ქართული ენა მაინც სათანადო დონეზე დგას. ქართველებთან თამაშისას ოსი ბავშვები ქართულს სწავლობენ და ზოგმისი თქმით, ეს აკრძალვა სავარაუდოდ ამ დირექტორის ინიციატივაა.

– ქართულ ენაზე საუბრის აკრძალვა არაკონსტიტუციურია. სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის მიხედვით, ყველას აქვს საკუთარ ენაზე საუბრის უფლება, – ამბობს მეარაყიშვილი.

მისი თქმით, ოსი ჩინოსნები მშვენივრად საუბრობენ ქართულ ენაზე.

– ხშირად მიწევს ოს მინისტრებთან და დეპუტატებთან საუბარი. როცა გებულობენ, რომ ქართველი ვარ, ქართულად იწყებენ საუბარს, – აღნიშნავს სამოქალაქო აქტივისტი.

იმედი ვიქონიოთ, რომ ქალბატონ ალას ვინმე გაუნათებს გონებას და აუხსნის, რომ ქართული ენის აკრძალვა, მისი საყვარელი ოსური კონსტიტუციითვე, არაკონსტიტუციურია.

# მარგველაშვილი: „ქართულმა ოცნებამ“ ღიად განაცხადა, რომ ჩემი კანდიდატი მათთვის მიუღებელი იქნებოდა“



საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სტუდენტებთან საჯარო ლექციისას განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ღიად განაცხადა, რომ მისი კანდიდატურა მათთვის მიუღებელი იქნებოდა და ეს არის მოკლე შინაარსი მათთვის, ვისაც წინა 200 სერია არ უნახავს.

პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შესარჩევი პროცესი შეაჯამა.

– ერთი წამით მინდა საზოგადოებას შევუჯამო ამ საკითხთან დაკავშირებით გამართული ძალიან ინტენსიური დისკუსია. როგორც იცით, კონსტიტუცია იცვლება სულ რამდენიმე დღეში და არც მე და არც მომავალ პრეზიდენტს არ ექნება შესაძლებლობა, რომ დაასახელოს სასამართლოს თავმჯდომარე – ეს ერთი მომენტი. მეორე მომენტი მდგომარეობს იმაში, რომ სამი მოსამართლე მყავს წარდგენილი უკვე პარლამენტში წელიწადზე მეტია და პარლამენტს კენჭი არ უყრია.

მესამე მომენტი მდგომარეობს იმაში, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ღიად გამოაცხადა, რომ ამაზე ჩემთან კონსულტაციებს არ ჩაატარებს, რაც ნიშნავს, რომ ჩემი კანდიდატი მათთვის მიუღებელია. ვისაც წინა სერიები არ უნახავს, მოკლე შინაარსი წინა 200 სერიის და ახლა დღეს უკვე რა ხდება?! – ამ ცაიტნოტში და რთულ ვითარებაში და იმის გააზრებით, რომ ყველას გვესმის, რომ სასამართლო პრობლემური და სარეფორმო სფეროა, მე შევთავაზე ქართულ იურიდიულ საზოგადოებას, გამოავლინონ საუკეთესო კანდიდატი და ვთქვი, რომ მე მხარს დავუჭერდი ასეთ გამოვლენილ კანდიდატს...

გასაოცარი არის ის, რომ აი, ამ თავყრილობაში ბატონი ავთო დემეტრაშვილი და ბატონი ჯონი ხეცურიანი იყვნენ ის, ვინც თქვეს რომ, რა თქმა უნდა, რადგან პრეზიდენტმა გვთხოვა თათბირი, გვთხოვა პოზიციის დაფიქსირება, ვეტყვით, ვინ მიგვაჩნია საუკეთესოდ, მოდით, ეს სამსახური გავუწიოთ ბატონ პრეზიდენტს და ეს სამსახური გავუწიოთ ჩვენს ქვეყანას და ჩვენს იუსტიციის სისტემას რეფორმისათვისო. დანარჩენმა ყველამ მითხრა, რომ ამ პროცესში მონაწილეობა ამ ფორმით არ სურთ – ასეთი მდგომარეობა იყო, რაც სრულიად გაუგებარია.

მე ახსნას ვერ ვხვდები. როდესაც მოწოდებაა იმისკენ, რომ სასწრაფოდ გამოვიყენოთ ბოლო შანსი, რადგან რამდენიმე დღეში ეს შანსი გაშვებული იქნება, როცა მოწოდებაა, რომ მოდით, ყველა შევთანხმდეთ კანდიდატზე და მე დავასახელებ ამ კანდიდატს, ამაზე იქნა ნათქვამი უარი. მე დღეს რომ დავასახელო კანდიდატი ასეთი მხარდაჭერის გარეშე, ამ ფონზე, თუ მას არ ექნება საზოგადოების მხარდაჭერა, ამ ფონზე, როდესაც ღიად არის ნათქვამი, რომ ჩემს კანდიდატს არ განიხილავს მმართველი პარტია, რომელსაც საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს, რომელმაც არც კი განიხილა ჩემი წარდგენილი კანდიდატები, ეს იქნება დასახელება დასახელებისთვის. მე მივმართე ქართულ საზოგადოებას, რომ მოდით, ხომ ყველას გვადარდებს სასამართლო, გავერთიანდეთ. სამწუხაროდ, ეს გაერთიანება არ მოხდა. ასეთი გაერთიანების გარეშე კანდიდატის დასახელებას ელემენტარულად, აზრი არ აქვს. მე არ ვიცი, რამდენად მოხერხდება ასეთი გაერთიანება, მაგრამ მარტივად ვხსნი შემდეგ ჭეშმარიტებას: არც მესმის, რატომ იქნა ეს პროცესი ჩაგდებული და მეტიც, არ მესმის, რა არის აქ გაუგებარი. თუ ვერ გავერთიანდებით ყველა უკეთესი მომავლისთვის, უკეთესი გადაწყვეტისთვის, მაშინ ჩვენ ვერ მივიღებთ უკეთეს მომავალს. ეს უნდა იცოდეს ყველა იმ ადამიანმა, ვინც ამ პროცესს ადევნებს თვალყურს და ყველა იმ ადამიანმა, ვინც ღიად უარი მითხრა იმაზე, რომ კანდიდატურის თაობაზე თავისი პოზიცია დაეფიქსირებინა. ასე რომ, ასეთია ამ ეტაპისთვის ვითარება – კონსენსუსისთვის ნაბიჯიც არ გადაიდგა. ძალიან გული მწყდება იმიტომ, რომ სასამართლო სისტემა მუდმივად არის ჩემი დარდის საფუძველი და მუდმივად ამ მიმართულებით ვცდილობდი ნაბიჯების გადადგმას, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ვერ შედგა. რომ შემდგარიყო, ნამდვილად გვექნებოდა ძალა, რომ ძლიერ კანდიდატს წარვადგენდით პარლამენტში საზოგადოების მიერ მხარდაჭერილს და მისი ჩაგდება არ იქნებოდა იოლი, – განაცხადა მარგველაშვილმა.

# ვახტანგ ყოლბაია: „აფხაზებთან უნდა ვილაპარაკოთ“

## შამბა არაერთგზის უსვამს ხაზს, რომ საქართველოსთან ურთიერთობა შეიძლება თანაბარ პირობებში, ანუ როგორც ორი თანაბარი სუბიექტის შემთხვევაში

გულიკო ბალაძე

**რას ემსახურება აფხაზ სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერის სერგეი შამბას ბოლოდროინდელი განცხადებები? აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ აფხაზებთან მოლაპარაკებები აუცილებელია. საჭიროა მათთან ურთიერთობების გარკვევა იმ დროისათვის მაინც, როცა რუსეთი აფხაზეთში აღარ იქნება. დღეისათვის შამბამაც დააფიქსირა ჩვენთან დამოკიდებულებაში მათთვის არსებული წითელი ხაზები და ჩვენც გვაქვს ჩვენი წითელი ხაზები, რასაც ვერ გადავაბიჯებთ.**

***— ბატონო ვახტანგ, როგორ ფიქრობთ, რას ემსახურება სერგეი შამბას ბოლოდროინდელი განცხადებები? შამბამ ჯერ ისაუბრა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დარეგულირების საჭიროებაზე, ახლა თითქოს აფხაზეთის დღევანდელი მდგომარეობით არის უკმაყოფილო და ამბობს, თუ ვითარება არ გამოსწორდება, ხვეწნა მოუწევთ ქართველების ან რუსებისთვის, რომ აფხაზეთი თავისთან მიიღონო. რა უნდა შამბას, რის მიღწევას ცდილობს?***

— ზოგადად, შამბას ის განცხადება, სადაც ამბობს, თუ აფხაზეთში ვითარება არ გამოსწორდება, დაჩოქება მოგვიწევს ქართველების ან რუსებისთვის, რომ მიგვიღონო, იმდენად ხისტი იყო, რომ შიდა აუდიტორიაში ძალიან ცუდი გამოხმაურება ჰპოვა. იმდენად ადეკვატურად აღიქვა აფხაზურმა საზოგადოებამ, ძირითადად აფხაზებმა, რომ მას ასეთი გამონათქვამი დაუწუნეს.

***— რა არ მოეწონათ?***

— შამბას დაუწუნეს გამონათქვამი, თუ ვითარება არ გამოსწორდება, ქართველებისთვის ან რუსებისთვის მოუწევთ დაჩოქებაო. ამიტომ გახდა იძულებული, მეორე განცხადება გაეკეთებინა. ვგულისხმობ ინტერვიუს „ეხო მასკვისთან“, სადაც შამბა საქართველოსთან ურთიერთობაზე უფრო ხისტად ლაპარაკობს.

შამბა არაერთგზის ხაზს უსვამს, რომ საქართველოსთან ურთიერთობა შეიძლება თანაბარ პირობებში, ანუ როგორც ორი თანაბარი სუბიექტის შემთხვევაში. ამით მან გაანეიტრალა პირველი განცხადება. ვინც უნდა მოვიდეს იქ ე.წ. პრეზიდენტად, ის ძალიან რადიკალურ განცხადებებს საქართველოს შესახებ არ გააკეთებს, მაგრამ შამბას გამონათქვამში არის ერთი მომენტი.

***— რა მომენტი?***

— შამბა ამბობს, რომ ქართველებში ის მტრებს არ ხედავს. ეს არის ძალიან გულწრფელად ნათქვამი, მაგრამ მეორე საკითხია დიალოგი.

***— ცუდი რა არის დიალოგის სურვილში?***

— დიალოგში ცუდი არაფერია, მაგრამ ვიცით, რომ არსებობს წითელი ხაზი საქართველოსთვის და წითელი ხაზი — თვითონ შამბასათვის და იმ ე.წ. ხელისუფლებისთვის, რომელიც არის დღეს სოხუმში.

***— დიალოგი კარგია, მაგრამ რუსული სამხედრო ძალის აფხაზეთში ყოფნის პირობებში დიალოგს პერსპექტივა რამდენად აქვს?***

— სანამ აფხაზებს რუსული ძალა უდგათ უკან, მანამ ისინი გულწრფელად ილაპარაკებენ, მაგრამ ქართველებთან შერიგების რეალურ სურვილს ვერ გამოთ-



ქვამენ, ასეც რომ ფიქრობდნენ, არის მეორე საკითხი — ჩვენ აუცილებლად გვინდა ლაპარაკი აფხაზებთან. აუცილებელი არ არის, ჩვენ შორის საუბარი ერთი ერთზე იყოს, მაგრამ ჩვენ აფხაზებთან უნდა ვილაპარაკოთ.

***— თუ ჩვენ შორის წითელი ხაზებია, რაზე უნდა ვილაპარაკოთ?***

— რუსი აფხაზეთიდან რომ წავიდეს და ჩვენ აფხაზებთან პირისპირ დავრჩეთ, მათთან რაღაც-რაღაცები გარკვეული უნდა გვქონდეს. საუბარი და დიალოგი შესაძლებელია. ყველას, ვისაც შეუძლია საუბარი აფხაზებთან, უნდა ელაპარაკონ და სამომავლო სიტუაცია გაარკვიონ რუსების იქ არყოფნის პირობებისთვის.

***— შამბა ერთ-ერთ განცხადებაში ამბობს, რომ უნდა ვიფიქროთ ერთობლივ მომავალზე, რადგან მეზობელი ქვეყნები ვართო. ერთობლივი მომავალი და მეზობელი ქვეყნები რაღაც ერთმანეთს არ მიესადაგება.***

— ამაზე ვსაუბრობ მეც. პირველ განცხადებაში შამბა საუბრობს იმაზე, რომ აფხაზეთში არის კრიზისული სიტუაცია და, თუ ასე გაგრძელდება, ჩვენ იძულებული გავხდებით, დავუჩოქოთ ქართველებს ან რუსებს, რომ შეგვიერთონო. ეს მას ძალიან ხისტად გამოუვიდა. ამიტომ, როცა მეორე განცხადებაში დიალოგზე საუბრობს, ის დიალოგს მხოლოდ თანასწორუფლებიან სუბიექტებს შორის ითხოვს.

***— თქვენი აზრით, დამოუკიდებლად აკეთებს განცხადებებს თუ რაღაც გარკვეული მიზნით ავალებენ თავისი პატრონები, ისაუბროს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დარეგულირების საჭიროებაზე?***

— შამბა არის პოლიტიკოსი. მიუხედავად განცხადებებისა, რომ არაფერი უნდა, ის მთლად გულწრფელი არ არის. ვიღაცამ ძალიან რომ სთხოვოს, მოდი, სერგო, მთავრობაში დაბრუნდი, შენი ჭირიმეო, იტყვის, ხალხმა მთხოვაო და დაბრუნდება. ამიტომ, როცა შამბა აცხადებს, არაფერი მინდაო, არის არაგულწრფელობა.

ვისი კარნახით საუბრობს შამბა, მე ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში წინასაარჩევნოდ დაძაბულია, ის მხარდაჭერას ეძებს მოსკოვში. მოსკოვის კაცი ის თავის დროზე იყო და ახლაც არის. ბოლო არჩევნებში რამდენჯერმე ფიასკო განიცადა. ის, რომ შამბა მოსკოვთან დაახლოებული პირია, ნათლად ჩანს. თუმცა, მან გარკვეული პრინციპულობა დააფიქსირა.

***— რა პრინციპულობას გულისხმობთ?***

— თავისი განცხადებებით შამბამ თქვა, მე ვარ საქართველოსთან საუბრის მომხრე, მაგრამ მხოლოდ როგორც თანაბარ სუბიექტებს შორის, ამას საქართველო უნდა შეეგუოსო.

არა მგონია, შამბამ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, თუმცა, ბჟანიას მხარდაჭერა დააფიქსირა. ბჟანიას გამარჯვების შემთხვევაში შამბას შეიძლება გარანტირებული ჰქონდეს თავისი ადგილი მომავალ ე.წ. ხელისუფლებაში.

***— როგორც ვხვდები, შამბას განცხადებები მთლად შიდა მოხმარებისთვის არ იყო განკუთვნილი.***

— არა, რა თქმა უნდა, შიდა მოხმარებისთვის არ იყო განკუთვნილი. ის გამოცდილი დიპლომატი და პოლიტიკოსია. მან იცის, შიდა მოხმარებისთვის რა გააკეთოს და გარე მოხმარებისთვის რა გამოდგება. შამბამ რამდენიმე კურდღელი დაიჭირა.

***— მაგალითად?***

— დიალოგის წინააღმდეგი არავინაა, არც დასავლეთი და არც რუსეთი. რუსეთი ხომ ამბობს ყოველთვის, აფხაზებთან გაარკვიეთ ურთიერთობა, მათ მოელაპარაკეთო. რუსეთიც არ არის წინააღმდეგი და არავინ იქნება დიალოგის წინააღმდეგი, მაგრამ მთავარია, დიალოგი რა სტატუსით და რაზე უნდა გაიმართოს.

***— რა სტატუსით და რაზე უნდა გაიმართოს?***

— ჩემი პოზიციაა, აფხაზებსა და ქართველებს შორის დიალოგი საჭიროა, მაგრამ — არავის კარნახით. აფხაზებმა და ქართველებმა დიალოგი ყველა შემთხვევაში უნდა გავმართოთ — ამას დავარქმევთ კულუარულს, დახურულს თუ ღიას, აფხაზებმა და ქართველებმა აუცილებლად უნდა გაარკვიონ სიტუაცია. ამისთვის აუცილებელია ჩვენ შორის დიალოგი.

***— ანუ შამბას განცხადებები ჩვენთვის რა გზავნილია, დიალოგის საჭიროების გზავნილი თუ კიდევ სხვა საკითხებსაც მოიცავს? ანუ შამბას განცხადებები ქართველებთან დიალოგის საჭიროების წარმოსაჩენადაც გაკეთდა?***

— შამბამ ძალიან კარგად იცის, რომ არსებობს წითელი ხაზები ჩვენთვის და წითელი ხაზები მისთვისაც. თავისი წითელი ხაზი შამბამ დააფიქსირა, როცა თქვა, რომ საქართველოსთან, თბილისთან ილაპარაკებენ, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის წარმომადგენლები.

რაც შეეხება თბილისს, მე დიალოგის მომხრე ვიქნები იმ შემთხვევაში, თუ გაიმართება აფხაზურ-ქართული დიალოგის სტატუსით.

***— თუ შამბამ იცის წითელი ხაზები, მაშინ რატომ საუბრობს ამაზე?***

— ამ კაცს რაღაც თავისი ადგილის დამკვიდრება უნდა. კი ამბობს, არაფერი მინდაო, მაგრამ, თუ მოიგო იმ ძალამ, რომელსაც ის მხარს უჭერს, მისი ადგილიც იქ მოიპოვება. როცა მოვა ხელისუფლებაში, იტყვის, არ მინდოდა, მაგრამ ხალხმა მთხოვა და მზად ვარ, ჩემი გამოცდილება და წარსული ქვეყანას მოვახმარო, საქართველოს უნდა დავუმტკიცო, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელია და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, საქართველომ აფხაზეთი აღიაროსო. ალბათ ეს იქნება მისი გზავნილი მომავალში თავისი შიდა მოხმარებისთვის.

ის გამოცდილი პოლიტიკოსია და მისი გზავნილები მოსკოვისა და დასავლეთისთვის პიარის შემცველია.

***— ვიფიქრე, რუსეთს შამბას ამგვარი განცხადებებით რამეს თქმა ხომ არ სურდა თავისი პოლიტიკური, გეოპოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე მსოფლიოსთვის?***

— შეიძლება. გამორიცხული არ არის. რუსეთი დიდ პოლიტიკას თამაშობს. ის თავის პოლიტიკას თავისი იმპერიული მიზნების განსახორციელებლად თამაშობს. ამისთვის რუსეთი დროდადრო აამოქმედებს ხოლმე რაღაც ბერკეტებს.

რუსეთს რაღაც სიტუაციის სათავისოდ წარმართვა რომ სჭირდება, აპრიორი გასაგებია. ოღონდ ამ შემთხვევაში რუსეთი რაში გამოიყენებს შამბას ამ გზავნილებს, მიჭირს თქმა. ეჭვი მაქვს, მაგრამ ახლა იმის შესახებ ლაპარაკი არ მინდა.

***— თქვენ მონაწილეობთ ჟენევის მოლაპარაკებებში. შამბას განცხადებებს რამე გავლენა ექნება მოლაპარაკებებზე?***

— არა მგონია.

***— თუ შამბას ჯგუფი გაიმარჯვებს, მოლაპარაკებებზე გავლენა ექნება?***

— რა თქმა უნდა. ახლა ჟენევაში წარმოდგენილია ის გუნდი, რომლის ოპოზიციაში არის შამბა. ამიტომ შამბას განცხადებებს მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.

***— რუსეთის ნებაა, რომ არა მხოლოდ შამბას, არამედ სხვებსაც განწყობები შეეცვალოთ.***

— წინასწარ საუბარი არ მინდა. თვენახევარში, დაახლოებით 8-9-10 ოქტომბერს, შედგება ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი და ენახოთ.

# ქრონიკული დაავადებების წამლებს შშმ პირები და პენსიონრები ფასდაკლებით მიიღებენ



ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, 3 სექტემბრიდან ქრონიკული დაავადებების პრეპარატებს პენსიონერები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ფასდაკლებით მიიღებენ.

სამინისტროს ცნობით, ამ ჯგუფების წევრები ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადებების სამკურნალო (23 დასახელების) მედიკამენტებს საბაზრო ღირებულების 50%-ით და მეტი ოდენობის ფასდაკლებით შეიძენენ.

— პროგრამის პირველი ეტაპი 2017 წლის მაისში დაიწყო, რომელიც მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე გავრცელდა. მათ ქრონიკული დაავადებებების სამკურნალო მედიკამენტზე, კერძოდ 23 დასახელებაზე, მოეხსნა ფინანსური ბარიერი და მიეცათ შესაძლებლობა თვეში მაქსიმუმ 1 ლარად შეიძინონ აღნიშნული მედიკამენტები. მეორე ეტაპი კი წელს, აგვისტოს თვეში დაიწყო, როდესაც დიაბეტის მეორე ტიპის დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებზე ფასები მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა მოქალაქისთვის განახევრდა. 3 სექტემბრიდან კი საპენსიო ასაკის მოსახლეობის და შშმ პირთა დანახარჯები ქრონიკული დაავადების სამკურნალო მედიკამენტებზე განახევრდება, ან გახდება მესამედი, — აცხადებს დავით სერგეენკო.

ფასდაკლება შეეხება გულ-სისხლძარღვთა სისტემის, დიაბეტის ტიპი 2-ის, არაინსულინდამოკიდებული, ფარისებრი ჯირკვლის და ფილტვის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო პრეპარატებს.

მედიკამენტების ფასდაკლებით შესაძენად ბენეფიციარმა უნდა მიმართოს ოჯახის/სოფლის ექიმს ან ექიმ სპეციალისტს ფორმა №100-სა და რეცეპტის მისაღებად, შემდეგ სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ფილიალში აღნიშნული დოკუმენტაციისა და პირადობის მოწმობის წარდგენით გაიაროს რეგისტრაცია პროგრამაში. ბენეფიციარს შესაძლებლობა აქვს, ერთჯერადად შეიძინოს მედიკამენტის მაქსიმუმ სამი თვის სამყოფი ოდენობა.

სამინისტროს ცნობით, ამ ეტაპზე მედიკამენტების შეძენა შესაძლებელია მხოლოდ სააფთიაქო ქსელ შ -ს შესაბამის ფილიალში, თუმცა უახლოეს მომავალში პროგრამაში ჩაერთვება სხვა სააფთიაქო ქსელებისა და აფთიაქების უმეტესობა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მოსახლეობისათვის ამ მედიკამენტებზე გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას.

# ოთო კახიძე: „ევროპარლამენტის რეკომენდაცია უნდა შესრულდეს“



ევროპული საქართველოს ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი აბესაძის განცხადებით, ევროპარლამენტის რეკომენდაცია — გამოეყოს ანტიკორუფციული სააგენტო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, უნდა შესრულდეს. თუმცა, აბესაძე ამბობს, რომ ქვეყანაში არ არსებობს კორუფციასთან ბრძოლის რეალური პოლიტიკური გეგმა.

— დღეს კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკური გეგმა არ არსებობს. შესაბამისად, არც სახელმწიფო ინსტიტუტები არის ჩამოყალიბებული იმგვარად, რომ კორუფციასთან ეფექტური ბრძოლა იყოს შესაძლებელი. რაც შეეხება თავად სამართალდამცავ უწყებებში ჩადენილ დანაშაულებებს და დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს, რომელმაც უნდა გამოიძიოს ამ ტიპის დანაშაულებები, რომლებიც საკმაოდ მრავლად ყოფილა ამ წლების განმავლობაში. ამ ტიპის დანაშაულებებს უნდა იძიებდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო მექანიზმის მეშვეობით სახელმწიფო. დღეს არსებული სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი ვერ უზრუნველყოფს ამის შესრულებას, — ამბობს ირაკლი აბესაძე.

# არ ენდოთ კომპანიებს, რომლებიც უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩარიცხვას გთავაზობენ




განათლების სამინისტრო მოქალაქეებს იმ კერძო კომპანიებთან დაკავშირებით აფრთხილებს, რომლებიც აბიტურიენტებს უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ჩარიცხვას სთავაზობენ. უწყება საზოგადოებას მოუწოდებს, ნუ ენდობიან დაწესებულებებს, რომელთაც კანონმდებლობით დადგენილი ავტორიზაცია არ გააჩნიათ.

— განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, ბოლო დროს გააქტიურდნენ კერძო კომპანიები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს მოკლე ტექსტური შეტყობინებების და სოციალურ ქსელების საშუალებებით სთავაზობენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვას.

აბიტურიენტებს და მათ მშობლებს ვთხოვთ, ნუ ენდობით კერძო კომპანიებს, რომლებსაც არ გააჩნიათ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების კანონმდებლობით დადგენილი ავტორიზაცია და გთავაზობენ საგანმანათლებლო მომსახურებას, მათ შორის, საქართველოში ავტორიზებულ უნივერსიტეტებში უგამოცდოდ ჩარიცხვას, — აცხადებს სამინისტრო.

განათლების სამინისტროს ცნობით, ვითარების რეგულირების მიზნით, სწავლის უფლების მინიჭების წესში ცვლილება იგეგმება. ცვლილება იმ სტუდენტებს შეეხება, რომელთაც საქართველოში არსებულ ავტორიზებულ უნივერსიტეტებში მობილობით გადმოსვლა სურთ. ჩასარიცხად მათ მოუწევთ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარება.

— გამოცდის ჩაბარება შესაძლებელი იქნება როგორც შემოდგომის, ასევე გაზაფხულის სემესტრში მობილობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აქტიურად მუშაობს უცხოეთის უნივერსიტეტებიდან სტუდენტების საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებში გადმოსვლის შესაძლებლობის შექმნის მიმართულებით, რაც დადგენილია როგორც ბოლონიის პროცესის მობილობის წესებით, ასევე, სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების ფარგლებში, — აღნიშნულია განცხადებაში.

# შოთა მალაშხია: „ისეთი პრეზიდენტი გვჭირდება, რომელიც ანგელა მერკელს შეეკამათება“

## „თუ „ქართული ოცნება“ არჩევნებს გააყალბებს, მყისიერად წაილეკება“



მარიამ მჭედლიშვილი

**მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ შოთა მალაშხიას.**

***— თქვენი კოალიციის „ძალა ერთობაშია“ წარმომადგენლები მოითხოვენ გამოძიების დაწყებას უკვე გამოვლენილ საარჩევნო დარღვევებზე. თუ ეს არ მოხდა, არჩევნების გაყალბება არ არის გამორიცხული?***

— თუ ხელისუფლება გააგრძელებს საარჩევნო მაქინაციებს და არჩევნებს ფალსიფიცირებულად ჩაატარებს, ეს დააჩქარებს მოვლენებს. თუ „ქართული ოცნება“ არჩევნებს გააყალბებს, მყისიერად წაილეკება. როგორი შეფარული მოქმედებებია! მმართველი პარტია თან ამტკიცებს, რომ არ ერევა არჩევნებში და თან გამალებული მუშაობა აქვს გაჩაღებული საარჩევნო ადმინისტრაციებში. მმართველ გუნდს ისეთი კრიზისი უდგას, კანდიდატსაც ვერ ასახელებს.

***— ადრე განაცხადეთ, რომ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი განწირულია დამარცხებისათვის. „ქართულ ოცნებას“ შეუძლია, ღიად ან საიდუმლოდ სხვას დაუჭიროს მხარი.***

— შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ოფიციალურად თქვან, არავის ვუჭერთ მხარსო, მაგრამ ფარულად ვინმეს დაეხმარონ. მთავარია, რომ „ქართული ოცნება“ ხალხს ისევ ატყუებს. ამ ეტაპზე თითქოს პროცესებში არ მონაწილეობს, მაგრამ ჩუმ-ჩუმად აქტიურად მუშაობს.

ასე აყრიდა თვალში ნაცარს ხალხს „ოცნება“ 2012 წელსაც. საზოგადოებას ჰპირდებოდნენ უფასო კრედიტებს, ღირსების აღდგენასა და კარგ ცხოვრებას. 2018 წელს მივიღეთ გაუარესებული ცხოვრება ყველა სფეროში. საქართველო გამქრალია მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან. საზოგადოებაში ცვლილებების მოლოდინია. „ძალა ერთობაშიას“ კანდიდატი ხალხს ესაუბრება ცვლილებებზე, რომლებიც მომავალში უნდა მოჰყვეს საპრეზიდენტო არჩევნებს. პრეზიდენტის არჩევა ერთი ეტაპია, რომელსაც სხვა გარდაქმნები და არჩევნები უნდა ახლდეს.

***— არჩევნების გაყალბების შემთხვევაში რა იქნება?***

— ეს „ქართული ოცნების“ დასასრულს დააჩქარებს. ხალხი ველარ შეეგუება ცხოვრებას ეკონომიკურად დაქცეულ, კორუმპირებულ გარემოში, როცა რუსეთის ქვეშევრდომი ხელისუფლება გარეთაც ასუსტებს ქვეყანას. ადამიანებს ამაში მონაწილეობა არ მოუნდებათ.

***— ხალხი აქამდეც მძიმე მდგომარეობაში იყო და ხმა არ ამოუღია.***

— მოთმინების ფიალა ადრე თუ გვიან ივსება. თუ საქართველოს საგარეო მარცხს, სილატაკეს, ლარის გაუფასურებას, უმუშევრობას არჩევნების გაყალბება დაემატა, ეს მეტისმეტი იქნება. თუ „ქართულ ოცნებაში“ ვინმე აზროვნებს, ეს არ უნდა დაუშვან.

***— სალომე ზურაბიშვილს სხვით ჩაანაცვლებენ?***

— შეიძლება, სხვას დაუჭირონ მხარი.

***— არიან სხვა კანდიდატები, რომლებიც პოლიტიკაშიც არ არიან ჩართული. მათი საინიციატივო ჯგუფები ნათესავები და ახლობლები არიან.***

— მათი მონაწილეობა არაფერს ცვლის. ასეთი კანდიდატები იმ რაოდენობის ხმებს ვერ მოაგროვებენ, რომ ოპოზიციას წაართვან.

***— უფლება შეკვეცილ პრეზიდენტს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ეხება საგარეო პოლიტიკა. როგორი შთაბეჭდილება გაქვთ, იმოქმედა საზოგადოებაზე გერმანიის კანცლერის განცხადებებმა ევროატლანტიკური მისწრაფებების თაობაზე? მან ყველაფერზე უარი გვითხრა.***

— ანგელა მერკელის განცხადებები მართლაც არ იყო იმედისმომცემი. რუსეთმა თავისი პირველი ექსპერიმენტი ჩვენთან ჩაატარა. 2008 წლის აგრესიას მომავალში მოჰყვა სხვა დანაშაული. უკრაინამდე საქართველო იყო. უკრაინის გამო რუსეთს სანქციები ევროკავშირმაც დაუწესა.

როცა ანგელა მერკელი გვეუბნება, რომ საქართველო ჯერ ვერ შევა ნატოში, ეს იმას ნიშნავს, რომ ის რუსეთის წინაშე დაუცველად გვტოვებს. საქართველოს ისეთი კონტრიბუცია და წილი აქვს გაღებული ნატოს ოპერაციებსა და სამშვიდობო მისიებში, რომ აქამდე უნდა გავმხდარიყავით ალიანსის წევრი. ევროკავშირის წევრობაც არ უნდა ყოფილიყო ფანტასტიკის სფერო. ამას საქართველოს ხელისუფლება უნდა ლაპარაკობდეს. ისეთი პრეზიდენტი გვჭირდება, რომელიც ანგელა მერკელს შეეკამათება. სტუდენტი კი არ უნდა ცდილობდეს, კანცლერს სიტყვა „ოკუპაცია“ დააცდენინოს, ამაზე უნდა მუშაობდეს ხელისუფლება. დღევანდელი პრეზიდენტი პირდაპირ საცოდაობაა.

***— საერთოდ, პრეზიდენტის ინსტიტუტის დისკრედიტაცია ხომ არ მოხდა?***

— როგორ არ მოხდა! ამაში ახლანდელ პრეზიდენტს მიუძღვის წვლილი. მარგველაშვილის გაკეთებული საქმე არ მინახავს. ადრეც ვთქვი, რომ საქართველოს საქმეს ესტონეთის პრეზიდენტი აკეთებს. ის ბევრად უფრო აქტიურად იცავს ჩვენს ინტერესებს.

ანგელა მერკელს საქართველოში სხვა მაღალჩინოსნებმაც ვერაფერი გაუბედეს. ეს ხალხი რუსეთთან მიჩვეულია ქვემძრომობას და ნებისმიერ უცხო სტუმარს მონურად ხვდება. თუ 2008 წელს მსოფლიოში ზოგი ვერ ხვდებოდა, როგორია რუსეთი ან ერიდებოდა მოსკოვთან ურთიერთობების გაფუჭებას, ახლა სხვა სიტუაციაა. რუსეთს სანქციები მთელმა დასავლეთმა დაუწესა. ამ დროს მაინც როგორ უნდა დაგვტოვონ მარტო რუსეთის წინაშე? ეს იმიტომ ხდება, რომ ამ ხელისუფლებას ყველა ყველაფერს უბედავს. სააკაშვილის პრეზიდენტობისას ანგელა მერკელს რომ ასეთი განცხადებები გაეკეთებინა, ის მას აუცილებლად შეესიტყვებოდა. მომავალი პრეზიდენტი ასეთი უნდა იყოს.

## მსოფლიო პატრიარქმა უკრაინის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება გადაწყვიტა



კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართოლომეუმ რუსეთის პატრიარქს სტამბულში შეხვედრის დროს აცნობა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება გადაწყვიტა. ამის შესახებ სოციალურ ქსელში კიევის საპატრიარქოს პრესმიდვანი ევსტრატე წერს.

— ჟურნალისტებთან გავიდა მიტროპოლიტი ემანუილი, მან მოკლე განცხადება გააკეთა, რომლის აზრიც შემდეგ ფრაზაში მდგომარეობს: ჩვენ პატრიარქს უკრაინის ეკლესიაში დაყოფის გადალახვისა და ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ ვაცნობეთ, რისი იმპლემენტაციაც მოხდება, — დაწერა აცებოოკ-ში არქიეპისკოპოსმა ევსტრატემ. მსოფლიო პატრიარქის გადაწყვეტილების შესახებ ბერძნული გამოცემა რტჰოდოხია.ინფო წერს. რუსეთის პატრიარქმა კირილემ მსოფლიო პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ „ეს იყო ორ ძმას შორის საუბარი,... შეხვედრის დროს არაფერი ისეთი არ თქმულა, რამაც შესაძლოა „გონების აფეთქება“ გამოიწვიოს“.

## ვალდის ზატლერსი: „მარგველაშვილი ერთ-ერთი რეალური საპრეზიდენტო კანდიდატი იქნებოდა“



ლატვიის ყოფილმა პრეზიდენტმა ვალდის ზატლერსმა გიორგი მარგველაშვილის გადაწყვეტილების შეფასებისას განაცხადა, რომ ის ერთ-ერთი რეალური საპრეზიდენტო კანდიდატი იქნებოდა, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ამ თანამდებობას.

— პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს პრეზიდენტს. ის არაჩვეულებრივი ადამიანია. შესაძლოა, ამ სიტუაციაში არ მოველოდი მის განცხადებას, თუმცა, ის ერთ-ერთი ნამდვილი კანდიდატი იქნებოდა, რომელიც რეალურად იმსახურებს ამ თანამდებობას. ის საქართველოს ნამდვილი პატრიოტი და ნამდვილად არაჩვეულებრივი ადამიანია. ის წარმატებით ემსახურა საქართველოს და განაგრძობს ქართველი ხალხის და სახელმწიფოს სამსახურს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, ბატონო პრეზიდენტო, იმედია, ნათელი მომავალი გვექნება, როგორც ჩვენ, ასევე თითოეულ თქვენგანს, — აღნიშნა ვალდის ზატლერსმა.

## მიხეილ სააკაშვილი: „მიგრაცია საერთოდ უკონტროლოდ წავიდა“

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვიდეომიმართვაში აღნიშნავს, რომ საქართველოში მიგრაცია უკონტროლოდ ხდება:

— რაც შეეხება მიგრაციას, როდესაც ამბობენ, რომ სააკაშვილმა საქართველოში შემოიყვანა უცხოელები, თურქები და ა.შ. ჩვენ ვაძლევდით საქართველოს მოქალაქეობას თურქეთის ქართველ მოქალაქეებს და თურქეთის



მთავრობა ძალიან ნერვიულობდა მაშინ ამაზე, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ეს არ გამეკეთებინა. იმიტომ რომ, ეს იყო ხალხი, ვინც ლაპარაკობს ქართულად, უყვარს საქართველო, აბანდებს ფულს საქართველოში და არის ჩვენი ლობი, მათ შორის თურქეთის ტერიტორიაზე. ახლა შემოდის სულ სხვა ხალხი. ახლა შემოდის ხალხი, რომელმაც არც ერთი სიტყვა ქართული არ იცის, რომელიც არც ერთ წარწერას ქართულად არ აკეთებს, რომელიც არ იცნობს ადგილობრივ ტრადიციებს და არც სცემს მათ პატივს. ერთი სიტყვით, მასობრივად გადიან საქართველოდან ქართველები.

ჩემი პრეზიდენტობის დროს, თითქმის ყველა წელიწადს, საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა იზრდებოდა. ახლა 750 ათასი ადამიანით შემცირდა ქართველების რაოდენობა ბოლო 6 წლის განმავლობაში — 750 ათასით და საერთოდ უკონტროლოდ წავიდა მიგრაცია. ჩემთვის სრულიად უცხოა ყველანაირი ქსენოფობია. მე არ მივიღებ ხალხის დისკრიმინაციას ეროვნების, ეთნიკურობისა თუ ენობრივი ნიშნის მიხედვით. ამავე დროს საქართველოს სჭირდება მკაცრი წესები და ისეთივე წესები, მაგალითად, როგორიც აქვს შვეიცარიას, როგორიც სულ უფრო მეტად შემოდის მაგალითად, აქ, ნიდერლანდებში და ბევრ სხვა ქვეყანაში. საქართველომ უნდა სცეს პატივი საკუთარ საზღვრებს. რა თქმა უნდა, ყველანაირად უნდა დავიცვათ ყველას უფლებები, მაგრამ პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ საქართველოს არ ტოვებდნენ საქართველოს მოქალაქეები, ქართველები. ამიტომ მე ვთხოვე ჩვენ ფრაქციას პარლამენტში, შეიტანონ კანონპროექტი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ძალიან ცოტა ხმები გვაქვს, მაგრამ სულ მალე ეს პარლამენტი შეიცვლება და კანონპროექტი უნდა იდოს — საქართველოს საზღვრების დაცვის შესახებ. ჩვენ გვჭირდება კანონის უზენაესობა და სწრაფი ეროვნული განვითარება და ჩვენ ამას აუცილებლად მივაღწევთ.

## ბოლო სამ კვირაში ცემენტის მწარმოებელი 25 ქარხანა გაჩერდა

ბოლო სამ კვირაში ცემენტის მწარმოებელი 25 ქარხანა გაჩერდა. ადგილობრივი მწარმოებლები ფინანსურ ზარალს ითვლიან, რომელიც ყოველდღიურად იზრდება.

კრიზისამდე ცემენტის ადგილობრივი მწარმოებლები საბაჟოზე შექმნილმა პრობლემებმა მიიყვანა.

უკვე ერთი თვეა, ცემენტის წარმოებისთვის საჭირო 3000 ტონა კლინკერის განბაჟებაზე შემოსავლების სამსახური უარის ამბობს. ოფიციალური მიზეზი ხარისხის კონტროლია, თუმცა, დროში გაწელილი შემოწმების გამო, ცემენტის ქართულ ბაზარზე საწარმოები ერთმანეთის მიყოლებით ჩერდება.

კლინკერი, რომელსაც ცემენტის წარმოებაში იყენებენ, ქართულ საწარმოებს აზერბაიჯანიდან შემოჰქონდათ. პროდუქციას თან ახლავს მწარმოებელი კომპანიის ხარისხის სერტიფიკატი.

ცემენტის ქართველი მწარმოებლებისთვის გაუგებარია, რატომ სჭირდება პროდუქციას დამატებით კონტროლი საბაჟოზე.

ეჭვებს აძლიერებს კიდევ ერთი გარემოება. 3 ათასამდე ტონა ტვირთი უკვე ერთი თვეა, გაჩერებულია, თუმცა, სინჯები ექსპერტიზისათვის ჯერ არ აუღიათ.

პაატა ტატურაშვილი კლინკერის ერთ-ერთი შემომტანია, მისი ბიზნესი საბაჟოზე დაწესებულმა შეზღუდვებმა ფინანსური დარტყმის წინაშე დააყენა. 25 ვაგონი ტვირთი 12 დღეა კასპში რკინიგზაზე დგას და ყოველდღიურად იმპორტიორს სოლიდური ჯარიმის გადახდაც უწევს.

მწარმოებლები ამბობენ, რომ საბაჟოზე შექმნილი პრობლემების უკან, სავარაუდოდ, ჰაიდელბერგცემენტის ბიზნესინტერესები დგას. კლინკერს საქართველოში ჰაიდელბერგიც აწარმოებს და ერთ-ერთი, ვისაც ნედლეულის გარეშე დარჩენა არ ემუქრება, სწორედ ეს კომპანიაა.



ბაზრის დანარჩენი მოთამაშეები კი ან ჰაიდელბერგზე უნდა გახდნენ დამოკიდებულები ან ცემენტის წარმოება საერთოდ უნდა შეწყვიტონ.

ჰაიდელბერგცემენტის ქართული აქტივების 50% ბიძინა ივანიშვილის თანაინვესტირების ფონდს და ირაკლი რუხაძის ჰანიველ პარტნერსს ეკუთვნის, რომელთაც წილი რამდენიმე თვის წინ ერთობლივად შეიძინეს.

ცემენტის მწარმოებლებმა მთავრობის ადმინისტრაციასთან დაგეგმილი აქციები უკვე ორჯერ გადადეს იმ პირობით, რომ მთავრობა დახმარებას და ვითარების დროულად გარკვევას დაჰპირდა.

ბიზნესომბუდსმენი ამტკიცებს, რომ კლინკერის საბაჟოზე გაჩერების ერთადერთი მიზეზი ხარისხის კონტროლის გამკაცრებული რეგულაციებია.

მთავრობას მწარმოებლები პრობლემის მოსაგვარებლად და კლინკერის განსაბაჟებლად 4 დღეს აძლევენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროტესტს ქუჩაში გააგრძელებენ.

**რუსთავი2**

# 2017 წელს საქართველოში სასტუმროს მომსახურებით დაკავებული 1.496 ეკონომიკური სუბიექტი ფუნქციონირებდა



დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2017 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა სასტუმროს მომსახურებით დაკავებული 1.496 ეკონომიკური სუბიექტი, რომელთაც გააჩნიათ 1.595 სასტუმრო და სასტუმროს ტიპის დაწესებულება (ადგილობრივი ერთეულების და ფილიალების ჩათვლით).

„საქსტატის“ ინფორმაციით, სასტუმროს მომსახურებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტებისათვის ყველაზე გავრცელებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს, რომლის წილად მოდის 2017 წელს მოქმედი სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საერთო რაოდენობის 58.7 პროცენტი, ინდივიდუალური მეწარმის წილად – 38.7 პროცენტი. დანარჩენ მათგანს გააჩნია სააქციო საზოგადოების (1.3 პროცენტი), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (0.1 პროცენტი) და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის (1.2 პროცენტი) სტატუსი. სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების 99.1 პროცენტი კერძო საკუთრებაშია, ხოლო 0.9 პროცენტი – სახელმწიფო საკუთრებაში.

2017 წელს საქართველოში მოქმედი სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საერთო ფართობი 1.790.3 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენდა (6.9%-ით მეტი, გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით). აქედან იჯარით გაცემულია 30.2 ათასი კვადრატული მეტრი, ხოლო ყველა ნომრის საცხოვრებელმა ფართობმა 882.1 ათასი კვადრატული მეტრი შეადგინა (7.4%-ით მეტი, გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით).

2017 წელს მოქმედ სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ადგილების საერთო რაოდენობამ 66.9 ათასი ერთეული შეადგინა. ნომრების საერთო რიცხვი 30.7 ათასი ერთეულია, რომელთა 9.9 პროცენტი ლუქსია, 13.1 პროცენტი – ერთადგილიანი, 57.2 პროცენტი – ორადგილიანი, ხოლო 19.8 პროცენტი სამი და მეტი ადგილის მქონე ნომრებია.

2017 წლის განმავლობაში საქართველოს სასტუმროები და სასტუმროს ტიპის დაწესებულებები 3.381.5 ათას სტუმარს მოემსახურა, რაც 33.1 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს. საქართველოს სასტუმროებს სტუმართა 69.7 პროცენტი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სტუმრობდა 2, 30.3 პროცენტი – საქართველოდან. საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოს სასტუმროებს უმეტესად სტუმრობდნენ რუსეთიდან (16.9 პროცენტი) შემოსული სტუმრები.

ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსულ სტუმართა შორის უმეტესობას პოლონეთიდან (20.0 პროცენტი) და გერმანიიდან (17.9 პროცენტი) შემოსული სტუმრები შეადგენდნენ, ხოლო სხვა ქვეყნებიდან შემოსულ სტუმართა შორის უდიდესი წილი თურქეთიდან (27.5 პროცენტი) და ირანიდან (20.1 პროცენტი) შემოსულ სტუმრებს უკავია. 2017 წელს გასულ წელთან შედარებით სტუმართა რაოდენობა რუსეთიდან გაიზარდა 73.6 პროცენტით, თურქეთიდან – 60.8 პროცენტით, ირანიდან 2.4 – ჯერ, უკრაინიდან – 37.0 პროცენტით, აზერბაიჯანიდან – 44.8 პროცენტით, ისრაელიდან – 26.4 პროცენტით, სომხეთიდან – 61.3 პროცენტით, პოლონეთიდან – 1.1 პროცენტით, საუდის არაბეთიდან – 2.2 -ჯერ. შემდეგი დიაგრამა ასახავს არარეზიდენტი სტუმრების პროცენტულ განაწილებას, რომლებიც 2017 წელს სტუმრობდნენ საქართველოს სასტუმროებს:

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოს სასტუმროებს უმეტესად სტუმრობდნენ რეკრეაციისა და დასვენების მიზნით 78.4 პროცენტი, საქმიანი და პროფესიული მიზნით – 13.8 პროცენტი, მკურნალობის მიზნით – 1.9 პროცენტი, ხოლო დარჩენილი 5.9 პროცენტი სხვა მიზნებზე მოდის.

რეკრეაციისა და დასვენების მიზნით სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში განთავსებული არარეზიდენტი სტუმრებიდან 17.3 პროცენტი მოდის რუსეთიდან ჩამოსულ სტუმრებზე, 16.5 პროცენტი – თურქეთზე, 12.4 პროცენტი – ირანზე, 6.8 პროცენტი – უკრაინაზე, 5.4 პროცენტი – ისრაელზე, 4.3 პროცენტი – აზერბაიჯანზე, 4.0 პროცენტი – სომხეთზე, 2.2 პროცენტი საუდის არაბეთზე, 2.1 პროცენტი – პოლონეთზე და 1.8 პროცენტი – გერმანიაზე.

# კახა კალაძის განცხადებით, თბილისში ღამის საათებში ავტობუსები სექტემბრის შუა რიცხვებიდან იმოძრავებენ



თბილისში ღამის საათებში ავტობუსები სექტემბრის შუა რიცხვებიდან იმოძრავებენ. ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის მერმა კახა კალაძემ განუცხადა, თუმცა განმარტა, რომ პირველ ეტაპზე საუბარია ავტობუსების პარასკევსა და შაბათს, ღამის საათებში დამატებაზე.

ჟურნალისტებმა მას კითხვით მიმართეს, თუ რა პროექტები განხორციელდა 6 თვის განმავლობაში ღამის ეკონომიკის განსავითარებლად. კახა კალაძემ ამ კუთხით განხორციელებული პროექტები ვერ დაასახელა, თუმცა აღნიშნა, რომ ღამის საათებში ავტობუსების დამატებაზე მუშაობენ.

– ოქტომბერში ვგეგმავთ საქართველოში ძალიან დიდი ფორუმის ჩატარებას, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობის იქნება. მასზე მოწვეული იქნებიან სხვადასხვა ქვეყნებიდან „ღამის მერები“. ჩვენ ვიმსჯელებთ იმაზე, თუ რა გაკეთდა სხვადასხვა ქვეყანაში ამ მიმართულებით, როგორი იყო მუნიციპალიტეტის ჩართულობა, რა პროექტებში მიიღეს მონაწილეობა და ა.შ. პირველი პროექტი, მაგალითად, ავტობუსების დამატება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ღამის საათებში, განსაკუთრებით, პარასკევი-შაბათი, ამას ვაკეთებთ და სექტემბრის შუა რიცხვებიდან ეს პროექტი ჩაეშვება. სხვა მნიშვნელოვან პროექტებზეც მიმდინარეობს მუშაობა და დროდადრო მოგაწვდით ინფორმაციას, – განაცხადა კახა კალაძემ.

# რუსთავის ფოლადი მთავრობას მიმართავს – მოგვიწევს 300-მდე თანამშრომლის დათხოვნა

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ადმინისტრაციის განცხადებით, თუ ხელისუფლებამ ადგილობრივი ბაზრის დაცვის მექანიზმები არ აამოქმედა, მომდევნო თვეში 300-მდე თანამშრომლის დათხოვნა მოუწევთ. როგორც ბმ.გე-ს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში განუცხადეს, აშშ-ის პრეზიდენტის მიერ ამოქმედებულმა ახალმა რეგულაციებმა, რომელიც ალუმინსა და ფოლადზე დამატებით გადასახადს აწესებს, დარგს მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა. ერთი მხრივ, რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ შეაჩერა ამერიკაში უნაკერო მილების მიწოდება, რადგანაც იმპორტის გადასახადის გათვალისწინებით ეს აღარ ულირს, მეორე მხრივ კი ქართულ ბაზარზე გააქტიურდა ირანული პროდუქცია.

– უკვე რამდენჯერმე განვაცხადეთ დემპინგურ ფასად ირანული არმატურის შემოსვლაზე ქართულ ბაზარზე, მაგრამ კიდევ არ გადადგმულა ნაბიჯები არასამართლიანი კონკურენციის წინააღმდეგ. ირანული არმატურის რაოდენობა ადგილობრივ ბაზარზე ყოველთვიურად ორმაგდება და ჩვენ ველოდებით ამ ტენდენციის ზრდას. საქართველო ერთადერთი ქვეყანა არის რომელსაც ირანული პროდუქციისთვის ღია აქვს კარი, მაშინ როცა მეზობელმა ქვეყნებმა დემპინგურ ფასად შემოსულ პროდუქციას ჩაუკეტეს საზღვრები და დაუწესეს გადასახადები, – აცხადებენ კომპანიაში.

მათივე თქმით, წლის დასაწყისი გაზარდეთ წარმოების მოცულობები და შექმნეს დამატებითი სამუშაო ადგილები, მაგრამ ახლა იძულებულები არიან, კვლავ შეამცირონ წარმოება და სამსახურიდან გაათავისუფლონ თანამშრომლები.

– ასევე ვგეგმავდით მასშტაბური საინვესტიციო პროექტის განხორციელებას, რომელიც ინდუსტრიაში შექმნიდა დამატებით სამუშაო ადგილებს, მაგრამ ეს პროექტიც გაჩერებულია გაურკვეველი ვადით.

ჩვენი ძალისხმევის მიუხედავად, ჯერ შესაბამისი უწყებების მიერ არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები. საჭიროა სწრაფი რეაგირება. მივმართავთ სახელმწიფოს სასწრაფოდ მიიღოს შესაბამისი ზომები თავისუფალი ვაჭრობის წესების დასაცავად. ჩვენ არ ვითხოვთ ჩვენთვის სასათბურე პირობების შექმნას. მოვითხოვთ წესების დამრღვევი მოთამაშეების დასჯას. ეს თუ არ მოხდა საფრთხე დაემუქრება ათასობით სამუშაო ადგილს, რომელიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზებით დასაქმებულები არიან ინდუსტრიაში, – განუცხადეს ბმ.გე-ს კომპანიაში.

ბმ.გე

# ბანკებში ვადაგადაცილებული სესხები მცირდება



ივლისში კომერციულ ბანკებში ვადაგადაცილებული სესხები 1.6 მლნ ლარით შემცირდა და 382.1 მლნ ლარს გაუტოლდა. ასეთი სესხების წილი კომერციული ბანკების მთლიან საკრედიტო პორტფელში 1.6%-ს შეადგენს და ბოლო ორი თვეა, ეს მაჩვენებელი უცვლელია.

ვადაგადაცილებული სესხების 50.7 პროცენტი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

აღსანიშნავია, რომ ვადაგადაცილებულმა სესხებმა ბანკებში კლება წლის დასაწყისიდან დაიწყო. გასული წლის ბოლომდე ასეთი სესხების მაჩვენებელი მუდმივად მზარდი იყო და დეკემბერში მისი წილი მთლიან სესხებში 1,8%-ს შეადგენდა.

ივნისში კლება 26 მილიონი ლარი იყო, ხოლო ვადაგადაცილებული სესხების 48% ლარში იყო დენომინირებული.

# რიკოთზე ავტობანის მშენებლობას იაპონია 343 მილიონი დოლარით დააფინანსებს



რიკოთის უღელტეხილზე, შორაპანი-არგვეთას მონაკვეთზე, ავტობანის მშენებლობას იაპონია 343 მილიონი დოლარით დააფინანსებს. შესაბამის შეთანხმებას ხელი თბილისში იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის დროს მოეწერება.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან. ტარო კონო პატივს მიაგებს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული მებრძოლების ხსოვნას და გვირგვინით შეამკობს გმირთა მემორიალს.

– ვიზიტის ფარგლებში, ნოტების გაცვლის გზით გაფორმდება შეთანხმება იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის (ფაზა 2) თაობაზე. აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, იაპონიის მთავრობა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (ჟაპან Iნტერნატიონალ ჩოოპერატიონ ეგენცყ, ჟIჩე) მეშვეობით გამოყოფს 38.735.000.000 იაპონური იენის ოდენობის დაფინანსებას (დაახლოებით 343 მლნ აშშ დოლარი) ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის საავტომობილო გზის (14.7 კმ.) მშენებლობისთვის, – აცხადებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

საქართველოს საგარეო უწყების ცნობით, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ტარო კონო საქართველოს ოფიციალური ვიზიტით 4-5 სექტემბერს ეწვევა. სამინისტროს ინფორმაციით, ეს არის იაპონიის მხრიდან პირველი მაღალი დონის ვიზიტი ორმხრივი ურთიერთობების განმავლობაში.

# ევროკავშირმა საქართველოს 45 მილიონი ევრო გამოუყო




ევროკავშირმა საქართველოს მაკროფინანსური დახმარების სახით 45 მილიონი ევრო გამოუყო. ამის შესახებ ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე ევროკომისიის წარმომადგენელმა ალექსანდერ ვინტერშტაინმა განაცხადა.

მისი თქმით, თანხა გამოყოფილია ქვეყნის ფინანსური საჭიროებების ნაწილის დასაფარად და ეკონომიკური რეფორმების მხარდასაჭერად.

– ევროკომისიამ ხელი მოაწერა საქართველოსთან ურთიერთგაგების მემორანდუმს 45 მილიონი ევროს ოდენობის მაკროფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ, რათა ქვეყანას დაეხმაროს ფინანსური საჭიროებების ნაწილის დაფარვაში და მხარი დაუჭიროს ეკონომიკურ რეფორმებს, – განაცხადა ევროკომისიის წარმომადგენელმა.

ევროკომისიაში განმარტავენ, რომ მორიგი დახმარების პირობები ეფუძნება ასოცირების შეთანხმებას.

1TV.GE

# ბელარუსიდან აჭარაში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 34%-ით გაიზარდა



აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, რეგიონს ბელარუსიდან წამყვანი ტელევიზიების გადამღები ჯგუფები ესტუმრნენ.

მედიატურის მონაწილეებმა გადაიღეს ბათუმის ძირითადი ტურისტული ღირსშესანიშნაობები, ბოტანიკური ბაღი, გონიო-აფსაროსის ციხე-მუზეუმი. ისინი მთიან აჭარასაც ეწვივნენ, სადაც ღვინის მარნები დაათვალიერეს და ადგილობრივი კერძები დააგემოვნეს. მონაწილეობა მიიღეს აჭარული ხაჭაპურის მომზადების მასტერკლასში, – ნათქვამია ინფორმაციაში.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ცნობით, ბელარუსიდან მიმდინარე წლის 7 თვის მონაცემებით, რეგიონში 34%-ით მეტი საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა.

# ერეკლე კაჭახიძე ცეცხლსასროლი იარაღიდან დაჭრეს



კურიერის წყაროს ინფორმაციით, გურამიშვილის 64 ნომერში ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერის თანამშრომელი, 26 წლის ერეკლე კაჭახიძე, მცირეკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან დაჭრეს.

მას ჭრილობა მიყენებული ჰქონდა თავის არეში და სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ის მარიამობის ღამეს კლინიკაში გადაიყვანა.

პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში ადასტურებენ, რომ მათ პაციენტი მიიღეს, რომელიც ჭრილობა ჰქონდა საფეთქლის არეში.

ერეკლე კაჭახიძემ კლინიკა ხელწერილით დატოვა.

მის მიერ მიცემული ჩვენების საფუძველზე სამართალდამცველებმა თავდაპირველად ძიება დაიწყეს შრომის უსაფრთხოების დარღვევის მუხლით, შემდეგ კი მუხლი გადაკვალიფიცირდა და ამ დროისთვის გამოძიება სხეულის განზრახ დაზიანების მუხლით მიმდინარეობს.

ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერში აცხადებენ, რომ ერეკლე კაჭახიძემ თავის არეში დაზიანებები სამუშაოების წარმოებისას მიიღო.

# მარნეულში 17 წლის მოზარდმა თავი ჩამოიხრჩო




მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ წერეთელში 17 წლის მოზარდმა თავი ჩამოიხრჩო.

თვითმკვლელობამდე მოზარდმა სახლში წერილებიც დატოვა, თუმცა მათი შინაარსი ჯერჯერობით უცნობია.

როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

უწყებაში აღნიშნავენ, რომ დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზებიც.

# ბათუმში ლიფტში ქალის დაჭრაში ბრალდებულს 17 წელი მიესაჯა



ბათუმში, ლიფტში ქალის დაჭრაში ბრალდებულს სასამართლომ 17 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული გ.ჩ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 19, 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

სასამართლოში პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ 2018 წლის 27 მაისს, დაახლოებით 16 საათსა და 30 წუთზე, ქალაქ ბათუმში, ალმაშენებლის ქუჩა #34-ში განთავსებული საცხოვრებელი კორპუსის ლიფტის კაბინაში, გ.ჩ.-მ, დანის გამოყენებით, განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მოკვლის მიზნით, ი.ა-ს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები სხეულის სხვადასხვა არეში 55 ჭრილობის სახით. გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად, მისი გადარჩენა მოხერხდა.

სამართალდამცველებმა გ.ჩ. 2017 წლის 02 ივნისს, ქალაქ ბათუმში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 19, 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# საქართველოს მთავარ პროკურატურაში რეორგანიზაცია იწყება



საქართველოს მთავარ პროკურატურაში რეორგანიზაცია გამოცხადდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურიდან აცნობეს, მთავარი პროკურორის შალვა თადუმაძის გადაწყვეტილებით, პირველ რიგში ცვლილებები შეეხება მთავარი პროკურატურის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებშიც დასაქმებულები არიან საჯარო მოხელეები, ასევე განხორციელდება სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე პროკურორების ატესტაცია და მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა.

უწყების პრესსამსახურის ცნობით, პირველ ეტაპზე რეორგანიზაცია შეეხება: ყველა ოლქის პროკურორს და მათ მოადგილეებს, რაიონის პროკურორებსა და მათ მოადგილეებს, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორებს და მათ მოადგილეებს, ასევე მთავარი პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და მოადგილეებს.

– შალვა თადუმაძის გადაწყვეტილებით, რეორგანიზაციის პროცესს უხელმძღვანელებს სპეციალურად შექმნილი ჯგუფი, რომელიც ატესტაციას, მრავალკომპონენტიან შეფასებასა და მთავარ პროკურორთან გასაუბრების ორგანიზებას უზრუნველყოფს.

რეორგანიზაციის დასრულებამდე პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე პირებისათვის შეჩერდება დანამატებისა და პრემიების გაცემა.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიმდინარე რეორგანიზაცია ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ეფექტური მმართველობის შექმნას ემსახურება, – ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

# გოშხეთელიანი–ბაკურაძის საქმეზე განაჩენი 1 სექტემბერს გამოცხადდება



ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გოშხეთელიანი-ბაკურაძის საქმის განხილვა დასრულდა. პროცესზე დაცვის და ბრალდების მხარეებმა და ბრალდებულმა გრიგოლ ბაკურაძემ დასკვნითი სიტყვა წარმოთქვეს.

პროცესს არ ესწრება ბრალდებულის ყოფილი მეუღლე დეა გოშხეთელიანი. საქმეზე განაჩენს მოსამართლე მურთაზ კაპანაძე 1 სექტემბერს, 11:00 საათზე გამოაცხადებს.

სასამართლო პროცესის პარალელურად, გამოძიება ოჯახურ ძალადობაში ბრალდებული მამაკაცის ადვოკატის მიმართ მუქარის ფაქტებზეც მიმდინარეობს.

როგორც ბრალდებულის ადვოკატი ლედი ტუკვაძე ამბობს, ცნობილია იმ ადამიანების ვინაობა, რომლებიც მას სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ.

– ეს იყო საკმაოდ ორგანიზებული ჯგუფი, რომელთა ინტერესს არა გრიგოლ ბაკურაძე, არამედ გოჩა ბაკურაძის საქმიანობა წარმოადგენდა. იყო მუქარები, რომ თუ ბაკურაძის ინტერესების დაცვას არ შევწყვეტდი, აუცილებლად გამისწორდებოდნენ, – ამბობს ადვოკატი.

ადვოკატი თვლის, რომ პასუხი უნდა გაეცეს გრიგოლ ბაკურაძის საქმეში არსებულ კითხვებს.

22 წლის დეა გოშხეთელიანი ყოფილ მეუღლეს მასზე ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებს. შემთხვევა მიმდინარე წლის 3 იანვარს მოხდა. მეუღლეზე ძალადობაში ბრალდებული ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 3.000-ლარიანი გირაოთი გაათავისუფლა.

პირველი ინსტანციის აღნიშნული გადაწყვეტილება პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და ბაკურაძეს პატიმრობა შეეფარდა.

# ქართული ფაშისტური მოძრაობის მიერ გავრცელებულ ვიდეოზე შსს–მ გამოძიება დაიწყო



ეროვნულ-სოციალისტური მოძრაობა „საქართველოს ეროვნული ერთობის“ მიერ ფეისბუქზე გავრცელებულ ვიდეოსთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო. ვიდეოში, რომელიც მოძრაობის ფეისბუკგვერდზე გავრცელდა და „ფაშისტური კვირადღე“ ჰქვია, ჩანს მოძრაობის რამდენიმე წევრი, რომლებიც იარაღიდან ისვრიან.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით დაიწყო, რაც იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# კოჯრის სამხედრო ბაზაზე ჩხუბის საქმეზე 2 პირს პატიმრობა შეეფარდა




სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, კოჯრის სამხედრო ბაზაზე მომხდარი ჩხუბის დროს სამხედრო მოსამსახურეების ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეები ე.ჩ. და ნ.გ. დააკავეს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2018 წლის 1-ელ აგვისტოს, თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების აკადემიის ტერიტორიაზე, სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებს შორის ურთიერთშელაპარაკებისას, ბრალდებულებმა ე. ჩ.-მ და ნ.გ-მ ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენეს ამავე სამხედრო ნაწილის სამ სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეს.

„დაკავებულთაგან ერთ პირს ბრალდება წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო მეორე ბრალდებულს – 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც ცხრიდან ცამეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

2018 წლის 31 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობა.

სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება გამოძიება დანაშაულში შესაძლო მონაწილე სხვა პირთა მხილების მიზნით, – აცხადებენ მთავარ პროკურატურაში.

# წითელ ხიდზე არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს



საბაჟო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“, არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის ფაქტები აღიკვეთა.

ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

როგორც მის განცხადებაშია აღნიშნული, შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის მოქალაქეების ბ.ი.-ს და მ.ს.-ს ფიზიკური დათვალიერებისას, ჯამში, 5,180 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, სანქციის სახით, ჩამოერთვათ საქონელი და ფულადი ჯარიმა ათასი ლარის ოდენობით შეეფარდათ“ – ნათქვამია განცხადებაში.

# ჯულიანიმ რუმინეთის პრეზიდენტს ანტიკორუფციული ბიუროს გაუქმება მოსთხოვა

## ტრამპის ადვოკატი აშშ-ის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს?

უკანასკნელ ხანს ტრამპის გარშემო სკანდალები გახშირდა. ბევრი მათგანი პრესის ფურცლებზეც მოხვდა. „პოლიტიკის" მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია გამონაკლისი არ არის. ის რუმინეთში აზვირთებულ სკანდალს შეეხება. მასში ტრამპის პირადი ადვოკატი ჯულიანიც აღმოჩნდა ჩართული.



რუმინეთი, ტრადიციულად, აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე კორუმპირებულ ქვეყნად ითვლებოდა. ასე იყო მეორე მსოფლიო ომამდე; ასე იყო შემდეგაც, როცა რუსული ხიშტების მეშვეობით იქ კომუნისტური დიქტატურა დამყარდა.

ჩაუშესკუს რეჟიმის დამხობის შემდეგ რუმინეთმა ევროპული ვექტორი აირჩია. დღეს ეს ქვეყანა ნატოსა და ევროკავშირის წევრია. მიუხედავად ამისა, რუმინეთში უამრავი პრობლემაა და ეს ქვეყანა სრულფასოვან ევროპულ სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა. მიზეზი კორუფციაა.

აშშ-ის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ რუმინეთში კორუფცია დაეძლია. სენატორმა მაკკეინმა ამ მხრივ ბევრი იმუშავა. სწორედ მაკკეინის დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად რუმინეთში ანტიკორუფციული ბიურო შეიქმნა, აშშ-ის ხელისუფლებამ კი მისი დაფინანსება დაიწყო.

ტრამპის ადვოკატმა ჯულიანიმ რუმინეთის პრეზიდენტს წერილი მისწერა და ბიუროს გაუქმება მოსთხოვა. თურმე ბიუროს წევრები ადამიანის უფლებებს არღვევენ, ჩვენებებს წამების გზით მოიპოვებენ და ა.შ.

– ჯულიანიმ თავის უფლებამოსილებას აშკარად გადააჭარბა, – განაცხადა სენატორმა მერფიმ.

საქმე მხოლოდ ეს არ არის. ჯულიანი აშკარად გამოვიდა იმ სტრუქტურის წინააღმდეგ, რომელსაც შეერთებული შტატების ხელისუფლება აფინანსებს, დაუპირისპირდა კურსს, რომელსაც აშშ რუმინეთში ახორციელებს. მერფი თვლის, რომ ეს შემთხვევით არ მოხდა.

– ჯულიანის უკან სხვადასხვა ლობისტური ჯგუფები დგანან. შესაძლოა, ეს ამერიკული ჯგუფები არც იყვნენ. მათი ფინანსური ინტერესები რუმინეთში ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის შედეგად შეილახა, – ამბობს მერფი.

ტრამპის მომხრეები, თავის მხრივ, აცხადებენ, რომ ჯულიანის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი წინასწარ გამიზნული და მარჯვედ განხორციელებული დარტყმაა. ნოემბერში აშშ-ში კონგრესის არჩევნები ჩატარდება. დემოკრატებსაც გამარჯვების შანსები გააჩნიათ, თუმცა მათი უპირატესობა მცირეა. ტრამპის გარშემოც სკანდალი სკანდალზე გორდება, რათა რესპუბლიკური პარტიის პოზიციები რაც შეიძლება შესუსტდეს.

## არიზონა ჯონ მაკკეინს გამოეთხოვა

არიზონაში გამოჩენილი ამერიკელი პოლიტიკოსის, სენატორ ჯონ მაკკეინის სამგლოვიარო ცერემონია დასრულდა.



მას 3.000 ადამიანი დაესწრო.

მიცვალებულის კუბოსთან სიტყვა წარმოთქვეს ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკოსებმა, საზოგადო მოღვაწეებმა და ა.შ.

მათ შორის ყველაზე შთამბეჭდავი ყოფილი ვიცეპრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, გამოსვლა იყო.

## უკრაინას ამერიკული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შეძენა სურს

უკრაინის ელჩმა აშშ-ში ჩალიიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა დაინტერესებულია აშშ-ის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შეძენით. მიზეზი დონბასში გამწვავებული მდგომარეობაა.



– რუსებმა „სასკოლო დაზავება" დაარღვიეს. ალბათობა იმისა, რომ რუსეთი ინტერვენციას განახორციელებს და ჩვენს ტერიტორიას დაბომბავს, დიდია. უკრაინა იძულებულია, თავი დაიცვას, – თქვა ჩალიიმ.

ბოლო დროს რუსეთში უკრაინის ტერიტორიის შესაძლო დაბომბვაზე ალაპარაკდნენ. ეს უკვე არა ტაკიმასხარა ჟირინოვსკის, არამედ თავდაცვის მინისტრ შოიგუს პირით გაცხადდა.

– კიევში უნდა ახსოვდეთ, რომ რუსეთს ჰყავს ძლიერი ავიაცია, რომელსაც მთელი უკრაინის მიწასთან გასწორება შეუძლია, – განაცხადა შოიგუმ.

უკრაინის პრეზიდენტმაც გასცა განკარგულება, რომ აშშ-ში ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის დანადგარები შეეძინათ. ჟურნალისტებთან საუბარში პოროშენკომ თქვა, რომ უკრაინული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა მოძველდა და ამიტომ აშშ-დან დახმარებას ელიან.

სახელმწიფო დეპარტამენტმა ეს არც დაადასტურა და არც უარყო.

– საუბარია კერძო კომერციულ გარიგებაზე. უკრაინას სრული უფლება აქვს, თავისი ტერიტორია დაიცვას, – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

## „ბატონი პუტინი აღიარებს, რომ დონბასში რუსული არმია იმყოფება?!"

### ფრანსუა ოლანდმა მემუარები გამოსცა



საფრანგეთის ექსპრეზიდენტმა ოლანდმა თავისი მემუარები გამოაქვეყნა. მათში აღწერილია, თუ როგორ მოხდა, რომ პოროშენკოსა და პუტინს შორის კინაღამ მუშტი-კრივი გაიმართა.

– ეს ნორმანდიული ოთხეულის შეხვედრაზე მოხდა, – წერს ოლანდი.

შეხვედრის წინ დონბასში რუსები ჩვეულებისამებრ შეეცადნენ, პოზიციები განემტკიცებინათ და შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ, იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. პუტინი შეხვედრაზე ძალზე გაბრაზებული მივიდა. პოროშენკომ კვლავ დაიწყო მტკიცება, რომ დონბასში რუსული ჯარია. პუტინმა თავი ვერ შეიკავა:

– დონბასში ჩემს არმიას ვუბრძანებ და უკრაინული ბანდებისაგან ბუნდღაც აღარ დარჩება! – დაიყვირა მან.

– როგორ მიბედავ! – წამოხტა პოროშენკო.

ოლანდმა, ვითომ სხვათა შორის, ჩაილაპარაკა: ბატონი პუტინი აღიარებს, რომ დონბასში რუსული არმია იმყოფება?!

ამან ვითარება განმუხტა. პუტინმა საუბარი უკვე მშვიდად განაგრძო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## დონეცკში ზახარჩენკო მოკლეს

დონეცკში მომხდარი აფეთქების შედეგად დონეცკის თვითგამოცხადებული სახალხო რესპუბლიკის ე.წ. მეთაური ალექსანდრ ზახარჩენკო დაიღუპა.



42 წლის ზახარჩენკო სასიკვდილოდ კაფე „სეპარში" დაიჭრა, რომელიც მის რეზიდენციასთან ახლოს მდებარეობს.

აფეთქების შედეგად კიდევ 3 ადამიანი დაიჭრა. მათ შორისაა ე.წ. რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ალექსანდრ ტიმოფეევი.

ზახარჩენკო დონეცკის თვითგამოცხადებული სახალხო რესპუბლიკის ე.წ მინისტრთა საბჭოს სათავეში 2014 წლის აგვისტოში ჩაუდგა. იმავე წელს მან გაიმარჯვა სახელმწიფოს მეთაურის ე.წ არჩევნებში და ამ დრომდე ამ დე ფაქტო პოსტს იკავებდა.



თვითგამოცხადებულ სახალხო რესპუბლიკაში აცხადებენ, რომ ხმელნიცკის ქუჩაზე დააკავეს უკრაინელი დივერსანტები, რომლებსაც ზახარჩენკოს მოკვლას აბრალებენ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ევროპაში ბურთაობა გაჩაღდა

## სტატისტიკა, ფსონები

დაიწყო ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონატები და ჩვენ ვაგრძელებთ მატჩისწინა ინფორმაციების მოწოდებას. ჯერ ყველაფერი წინ არის, ამიტომ გრძელი და საინტერესო სეზონი გველოდება.

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 01.09 ლესტერი-ლივერპული | 6.5 | 4.5 | 1.44 |
| 01.09 ბრაიტონი-ფულემი | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 01.09 ჩელსი-ბორნმუთი | 1.3 | 5.5 | 8.5 |
| 01.09 კრ.პალასი-საუთჰემპტონი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 01.09 ევერტონი-ჰადერსფილდი | 1.5 | 3.9 | 7.0 |
| 01.09 ვესტ ჰემი-ვულვზი | 2.4 | 3.5 | 2.8 |
| 01.09 სიტი-ნიუკასლი | 1.08 | 11.0 | 21.0 |
| 02.09 კარდიფი-არსენალი | 5.8 | 3.9 | 1.57 |
| 02.09 ბარნლი-მანჩესტერი | 5.5 | 3.7 | 1.65 |
| 02.09 უოტფორდი-ტოტენჰემი | 5.0 | 4.2 | 1.61 |

**ლესტერი-ლივერპული**

ლესტერი: ***ტრავმ***-შინჯი ოკაზაკი

ლივერპული: ***ტრავმ***-დეიან ლოვრენი, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი

**ბრაიტონი-ფულემი**

ბრაიტონი: ***ტრავმ***-ლუის დანკი, ბრუნო სალტორი

ფულემი: ***ტრავმ***-ფლოიდ აიტე

**ჩელსი-ბორნმუთი**

ჩელსი: ***ტრავმ***-სესკ ფაბრეგასი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჯუნიორ სტანილასი

**კრ.პალასი-საუთჰემპტონი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-პაპე სუარე, ჯონათან უილიამსი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-იანიკ ვესტეგაარდი

**ევერტონი-ჰადერსფილდი**

ევერტონი: ***ტრავმ***-ლუკას დინიე

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-მატიას იორგენსენი

**ვესტ ჰემი-ვულვზი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-მარკ ნობლე

ვულვზი: ***ტრავმ***-მეტიუ დოჰერტი

**სიტი-ნიუკასლი**

სიტი: ***ტრავმ***-ფერნანდინიო, კევინ დე ბრუინე, კლაუდიო ბრავო, ელაქუიმ მანგალა

ნიუკასლი: ***ტრავმ***-დეანდრე იედინი

**კარდიფი-არსენალი**

კარდიფი: ***ტრავმ***-არონ გუნარსონი

არსენალი: ***ტრავმ***-ლორენ კოშიელნი

**ბარნლი-მანჩესტერი**

ბარნლი: ***ტრავმ***-ანდერს ლინდეგარი, რობი ბრედლი, სტივენ დეფო

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ალექსის სანჩესი, მარკოს როხო, ნემანია მატიჩი, ანტინიო ვალენსია

**უოტფორდი-ტოტენჰემი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-იუნის კაბული, ტომ კლეველი, სტეფანო ოკაკა

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ვიქტორ ვანიამა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| 2.ტოტენჰემი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| 3.ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-3 | 9 |
| 4.უოტფორდი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| 5.სიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-2 | 7 |
| 6.ბორნმუთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 7.ლესტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 8.ევერტონი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-5 | 5 |
| 9.არსენალი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 10.კრ.პალასი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 11.ფულემი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| 12.ბრაიტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 13.ვულვზი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 14.მანჩესტერი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |
| 15.კარდიფი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-2 | 2 |
| 16.ნიუკასლი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| 17.საუთჰემპტონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| 18.ბარნლი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| 19.ჰადერსფილდი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-9 | 1 |
| 20.ვესტ ჰემი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-9 | 0 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 01.09 სელტა-ატლეტიკო | 4.8 | 3.5 | 1.75 |
| 01.09 რეალი-ლეგანესი | 1.1 | 9.5 | 21.0 |
| 02.09 ლევანტე-ვალენსია | 3.5 | 3.5 | 2.05 |
| 02.09 ალავესი-ესპანიოლი | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 02.09 ბარსელონა-უესკა | 1.06 | 12.0 | 29.0 |
| 02.09 ბეტისი-სევილია | 2.7 | 3.5 | 2.5 |

**სელტა-ატლეტიკო**

სელტა: ***ტრავმ***-დავიდ იუნკა

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ვიტოლო

**რეალი-ლეგანესი**

რეალი: ***ტრავმ***-არავინ

ლეგანესი: ***ტრავმ***-ალექსანდერ შიმანოვსკი

**ლევანტე-ვალენსია**

ლევანტე: ***ტრავმ***-არმანდო სადიკუ

ვალენსია: ***ტრავმ***-ეზეკიელ გარაი

**ალავესი-ესპანიოლი**

ალავესი: ***ტრავმ***-როდრიგო ელი, ტომას პინა

ესპანიოლი: ***ტრავმ***-სერხიო სანჩესი

**ბარსელონა-უესკა**

ბარსელონა: ***ტრავმ***-დენის სუარესი

უესკა: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-კარლოს აკაპო

**ბეტისი-სევილია**

ბეტისი: ***ტრავმ***-ხოაკინი

სევილია: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 2.ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 3.სევილია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 4.ესპანიოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 5.სოსიედადი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 6.უესკა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 7.ბილბაო | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 8.სელტა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 9.ატლეტიკო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 10.ლევანტე | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 11.ხეტაფე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 12.ლეგანესი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 13.ვილიარეალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 14.ვალიდოლიდი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 15.ვალენსია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 16.ხირონა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 17.ბეტისი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 18.ალავესი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 19.ეიბარი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 20.რაიო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 01.09 ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი | 1.61 | 4.2 | 5.0 |
| 01.09 აინტრახტი-ვერდერი | 2.45 | 3.3 | 2.87 |
| 01.09 ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1.67 | 4.2 | 4.5 |
| 01.09 აუგსბურგი-გლადბახი | 2.62 | 3.4 | 2.6 |
| 01.09 ნიურნბერგი-მაინცი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 01.09 შტუტგარტი-ბაიერნი | 11.0 | 4.8 | 1.3 |
| 02.09 ლაიპციგი-ფორტუნა | 1.4 | 5.0 | 7.0 |
| 02.09 შალკე-ჰერტა | 1.75 | 3.6 | 4.75 |



**ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ბენჯამინ ჰუბნერი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-იორიკ რავე

**აინტრახტი-ვერდერი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-არავინ

ვერდერი: ***ტრავმ***-არონ იოჰანსონი, ფინ ბარტელსი

**ლევერკუზენი-ვოლფსბურგი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-სვენ ბენდერი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-არავინ

**აუგსბურგი-გლადბახი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-კონსტანტინოს სტაფილიდისი, ალფრედ ფინბოგასონი

გლადბახი: ***ტრავმ***-იბრაჰიმ ტრაორე, ლასლო ბენეში, ლარს სტინდი

**ნიურნბერგი-მაინცი**

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-ევერტონ ალმეიდა

მაინცი: ***ტრავმ***-რენე ადლერი

**შტუტგარტი-ბაიერნი**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ალექსანდერ მეიერი

ბაიერნი: ***ტრავმ***-რენატო სანჩესი

**ლაიპციგი-ფორტუნა**

ლაიპციგი: ***ტრავმ***-მასიმო ბრუნო

ფორტუნა: ***ტრავმ***-ტიმ ვისნერი

**შალკე-ჰერტა**

შალკე: ***ტრავმ***-ევჰენი კონოპლიანკა

ჰერტა: ***ტრავმ***-პეტერ პეკარიკიალექსანდერ ესვიენი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-1 | 3 |
| 2.ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 3.აინტრახტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 4.გლადბახი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 5.ვოლფსბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 6.აუგსბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 7.ჰერტა | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8.მაინცი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 9.ვერდერი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 10.ჰანოვერი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 11.შალკე | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 12.ფორტუნა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 13.ნიურნბერგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 14.შტუტგარტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 15.ჰოფენჰაიმი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 16.ფრაიბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 17.ლევერკუზენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 18.ლაიპციგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-4 | 0 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 01.09 ბოლონია-ინტერი | 5.8 | 4.0 | 1.57 |
| 01.09 პარმა-იუვენტუსი | 17.0 | 7.5 | 1.15 |
| 02.09 ფიორენტინა-უდინეზე | 1.6 | 4.2 | 5.0 |
| 02.09 სასუოლო-ჯენოა | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 02.09 ლაციო-ფროზინონე | 1.17 | 6.5 | 17.0 |
| 02.09 ტორინო-სპალი | 1.65 | 3.9 | 5.0 |
| 02.09 სამპდორია-ნაპოლი | 5.5 | 4.75 | 1.5 |
| 02.09 ატალანტა-კალიარი | 1.5 | 4.4 | 6.0 |
| 02.09 კიევო-ემპოლი | 2.4 | 3.1 | 3.1 |

**ბოლონია-ინტერი**

ბოლონია: ***ტრავმ***-როდრიგო პალასიო

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

**პარმა-იუვენტუსი**

პარმა: ***ტრავმ***-არავინ

იუვენტუსი: ***ტრავმ***-მატის დი შილიო

**ფიორენტინა-უდინეზე**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მასიმილიანო ოლივეირა

უდინეზე: ***ტრავმ***-ემანუელ ბადუ, მამადუ კულიბალი

**სასუოლო-ჯენოა**

სასუოლო: ***ტრავმ***-არავინ

ჯენოა: ***ტრავმ***-სანდრო

**ლაციო-ფროზინონე**

ლაციო: ***ტრავმ***-ჯორდან ლუკაკუ, ვალონ ბერიშა

ფროზინონე: ***ტრავმ***-არავინ

**ტორინო-სპალი**

ტორინო: ***ტრავმ***-არავინ

სპალი: ***ტრავმ***-სერჟიო ფლოკარი

**სამპდორია-ნაპოლი**

სამპდორია: ***ტრავმ***-არავინ

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

**ატალანტა-კალიარი**

ატალანტა: ***ტრავმ***-იოსიპ ილიჩიჩი

კალიარი: ***ტრავმ***-ლუკა ჩეპიტელი

**კიევო-ემპოლი**

კიევო: ***ტრავმ***-არავინ

ემპოლი: ***ტრავმ***-არნელ იაკუპოვიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2.ნაპოლი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| 3.სპალი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 4.ატალანტა | 2 | 1 | 1 | 0 | 7-3 | 4 |
| 5.რომა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 3 |
| 6.უდინეზე | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.სასუოლო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8.ჯენოა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 9.ფიორენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 6-1 | 3 |
| 10.ემპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 11.ტორინო | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 12.ინტერი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 13.ბოლონია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 14.ფროზინონე | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |
| 15.პარმა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 16.კალიარი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 17.მილანი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |
| 18.სამპდორია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 19.ლაციო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 20.კიევო | 2 | 0 | 0 | 2 | 3-9 | 0 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 01.09 ნიმი-პსჟ | 10.0 | 7.0 | 1.22 |
| 01.09 რეიმსი-მონპელიე | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 01.09 დიჟონი-კაენი | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 01.09 გენგამი-ტულუზა | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 01.09 სტრასბური-ნანტი | 2.37 | 3.1 | 3.2 |
| 01.09 ანჟე-ლილი | 2.45 | 3.25 | 2.9 |
| 02.09 სტ.ეტიენი-ამიენი | 1.6 | 3.8 | 5.8 |
| 02.09 რენი-ბორდო | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 02.09 მონაკო-მარსელი | 2.6 | 3.75 | 2.45 |

**ნიმი-პსჟ**

ნიმი: ***ტრავმ***-არავინ

პსჟ: ***ტრავმ***-მარკო ვერატი, დანი ალვეში, ლავინ კურზავა

**რეიმსი-მონპელიე**

რეიმსი: ***ტრავმ***-არავინ

მონპელიე: ***ტრავმ***-ჯოვანი სიო

**დიჟონი-კაენი**

დიჟონი: ***ტრავმ***-სენოუ კულიბალი

კაენი: ***ტრავმ***-ბისამა სანკო

**გენგამი-ტულუზა**

გენგამი: ***ტრავმ***-არავინ

ტულუზა: ***ტრავმ***-ოლა ტოივონენი

**სტრასბური-ნანტი**

სტრასბური: ***ტრავმ***-ლუდოვიკ აჟორუე

ნანტი: ***ტრავმ***-არავინ

**ანჟე-ლილი**

ანჟე: ***ტრავმ***-არავინ

ლილი: ***ტრავმ***-იუსუფ კონე

**სტ.ეტიენი-ამიენი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-რომან ჰამუმა

ამიენი: ***ტრავმ***-ბონგანი ზუნგუ

**რენი-ბორდო**

რენი: ***ტრავმ***-არავინ

ბორდო: ***ტრავმ***-ალექსანდერ მენდი

**მონაკო-მარსელი**

მონაკო: ***ტრავმ***-ჯიბრილ სიბიდე, ლასინა ტრაორე, ალექსანდრ გოლოვინი

მარსელი: ***ტრავმ***-ბოუნა სარი, სტივ მანდადა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 9 |
| 2.დიჟონი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 3.ლილი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| 4.ლიონი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-1 | 6 |
| 5.ნიმი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| 6.რეიმსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-4 | 6 |
| 7.ტულუზა | 3 | 2 | 0 | 1 | 3-5 | 6 |
| 8.სტ.ეტიენი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 9.მონაკო | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 10.მონპელიე | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 11.სტრასბური | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 12.მარსელი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-3 | 3 |
| 13.ამიენი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 14.რენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 15.ბორდო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 16.კაენი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-5 | 2 |
| 17.ნანტი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| 18.ნიცა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |
| 19.ანჟე | 3 | 0 | 0 | 3 | 4-8 | 0 |
| 20.გენგამი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-8 | 0 |

# მონაკომ ჩემპიონთა ლიგის წილისყრასა და დაჯილდოებას უმასპინძლა

მონაკოში 2018-19 წლის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართა. გარდა იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგის წილისყრაა, ეს პროცესი ჩვენთვის იმითიც არის საინტერესო, რომ მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგაში 2 ქართველი ფეხბურთელი საბა კვირკველია (ლოკომოტივი) და დავით ხოჭოლავა (შახტარი) იასპარეზებენ.

**გუნდები ჯგუფებში შემდეგნაირად განაწილდნენ:**

**ა ჯგუფი:** ატლეტიკო (ესპანეთი), დორტმუნდი (გერმანია), მონაკო (საფრანგეთი), ბრიუგე (ბელგია);

**ბ ჯგუფი:** ბარსელონა (ესპანეთი), ტოტენჰემი (ინგლისი), პსვ (ჰოლანდია), ინტერი (იტალია);

**ც ჯგუფი:** პსჟ (საფრანგეთი), ნაპოლი (იტალია), ლივერპული (ინგლისი), ცრვენა ზვეზდა (სერბეთი);

**დ ჯგუფი:** ლოკომოტივი (რუსეთი), პორტო (პორტუგალია), შალკე (გერმანია), გალათასარაი (თურქეთი);

**ე ჯგუფი:** ბაიერნი (გერმანია), ბენფიკა (პორტუგალია), აიაქსი (ჰოლანდია), აეკი (საბერძნეთი);




**ფ ჯგუფი:** მანჩესტერ სიტი (ინგლისი), შახტარი (უკრაინა), ლიონი (საფრანგეთი), ჰოფენჰაიმი (გერმანია);

**ჯ ჯგუფი:** რეალი (ესპანეთი), რომა (იტალია), ცსკა (რუსეთი), პლზენი (ჩეხეთი);

**ჰ ჯგუფი:** იუვენტუსი (იტალია), მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), ვალენსია (ესპანეთი), იანგ ბოიზი (შვეიცარია).

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის მატჩები 18-19 სექტემბერს გაიმართება და 11-12 დეკემბერს დასრულდება. შემდეგ იქნება ფლეი ოფების წილისყრა, ხოლო პირველ ივნისს კი, ფინალი, მადრიდში, ატლეტიკოს ახალ სტადიონ „მეტროპოლიტანოზე" გაიმართება.



პარალელურად უეფამ წინა სეზონის რჩეული ფეხბურთელები დააჯილდოვა.

**სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი:** რეალის ნახევარმცველი ხორვატიელი ფეხბურთელი ლუკა მოდრიჩი;

**სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი ქალი:** ვოლფსბურგის მოთამაშე პერნილე ჰარდერი;

**ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო მეკარე:** მადრიდის რეალის კოსტა რიკელი ფეხბურთელი კეილორ ნავასი;

**ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო მცველი:** მარიდის რეალის კაპიტანი სერხიო რამოსი;

**ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ნახევარმცველი:** მადრიდის რეალის ფეხბურთელი ლუკა მოდრიჩი;

**ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო თავდამსხმელი:** მადრიდის რეალის (ამჟამად იუვენტუსის) შემტევი კრიშტიანუ რონალდო.

უეფამ პირველად მის ისტორიაში ექუალ გეიმის ჯილდო გურამ კაშიას გადასცა. ქართველ ფეხბურთელს დილით თამაში ჰქონდა და ფიზიკურად ვერ მოახერხა დაჯილდოებაზე დასწრება. მისი ჯილდო ლევან კობიაშვილმა მიიღო. გურამ კაშია დაჯილდოებაზე ვიდეოთი ჩაერთო, სადაც ალექსანდრე ჩეფერინს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ფეხბურთი ყველას თამაშია.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ლუდოგორეცი (ბულგარეთი) — ტორპედო (საქართველო) 4:0

**რაზგრადი. ლუდოგორეც არენა**

1:0 მისიჯანი (6), 2:0, 3:0 კამპანიარო (37, 59), 4:0 ვანდერსონი (62)

**ლუდოგორეცი:** რენანი, სისინიო, მოტი, ნედლიაკოვი, ნატანიელი, დიაკოვი (გორალსკი 72), კამპანიარო, მარსელინიო, მისიჯანი (ლუკოკი 70), კესერუ, ვანდერსონი (ბაკალოვი 88)



**ტორპედო:** კვასხვაძე, გეგეჭკორი, კობახიძე, აზაცკი, მარინი, ჰლინკა, ცინცაძე, დოლიძე (ქიმაძე 77), კუტალია (დაფე 46), ლაჩნი (კუხიანიძე 58), კაპანაძე

ევროპა ლიგის პლეი-ოფის განმეორებით მატჩში ქუთაისის ტორპედო 0:4 დამარცხდა ბულგარულ ლუდოგორეცთან და გათამაშებას გამოეთიშა.

წაგებას შეგუებული ვიყავით, საინტერესო ის იყო, როგორ ითამაშებდა რიონისპირული გუნდი. კახა ჩხეტიანმა უფრო შემტევი შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე. ტორპედო, თბილისური მატჩისგან განსხვავებით, უფრო მეტს კი უტევდა და მომენტებიც ჰქონდა, მაგრამ დაცვაში ბევრი შეცდომა დაუშვა და ეს ანგარიშზეც აისახა.

ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ევროპულ ფეხბურთამდე ბევრი გვიკლია. და არამარტო საფეხბურთო კლასით – გუნდის შექმნისა და სწორი მენეჯმენტის მუშაობით. მეტს ამ თამაშზე ვერაფერს ვიტყვით...

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ასტროპროგნოზი

## 1 სექტემბრისათვის



**ვერძი** – ბიზნესში წარმატებას მიაღწევთ. გაგიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. შესაძლოა, ვალი დაგიბრუნონ. **კურო** – კოსმოსიდან დიდ ენერგიას იღებთ. როგორც სამსახურებრივ, ისე საოჯახო პრობლემებს იოლად მოაგვარებთ. **ტყუპები** – მიზნის მიღწევისთვის საბრძოლველად არაკეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებს. **კირჩხიბი** – რეალური ცხოვრება თქვენს შინაგან სამყაროზე თანდათან სულ უფრო მეტად აისახება. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს. **ლომი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. დაპირებების გაცემისგან თავი შეიკავეთ. **ქალწული** – წარმატება მხოლოდ თქვენს სიმშვიდესა და თავშეკავებაზეა დამოკიდებული. იყავით თამამი. **სასწორი** – არანაირი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დღეს არ მიიღოთ. შესაფერის მომენტს დაელოდეთ. **ღრიანკალი** – გაუთვალისწინებელ ხარჯებს ერიდეთ. პირად ცხოვრებაში კორექტივების შეტანა არ გაწყენთ. **მშვილდოსანი** – ფინანსურ სფეროში დადებითი ძვრებია მოსალოდნელი. შემოსავალ-გასავალი ყურადღებით აკონტროლეთ. **თხის რქა** – დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. ნუ იქნებით უკმეხი. **მერწყული** – ყოველმხრივ იღბლიანი დღეა. პლანეტები გმფარველობენ. ემოციებს არ აჰყვეთ. **თევზები** – საკუთარი შესაძლებლობები რეალურად შეაფასეთ. ზედმეტი დატვირთვა რეკომენდებული არ არის.

## 2 სექტემბრისათვის

**ვერძი** – ეს დღე შესაფერისია ფიზიკური დატვირთვისა და სუფთა ჰაერზე სეირნობისათვის. ფინანსური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **კურო** – დღეს საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად შანსი გეძლევათ. ეცადეთ, ახალი სასიამოვნო ინფორმაცია მაქსიმალურად თქვენ სასარგებლოდ გამოიყენოთ. **ტყუპები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ნებისმიერ სიტუაციაში ნებისყოფა და თავშეკავება გმართებთ. **კირჩხიბი** – კეთილისმყოფელი დღეა კოლექტიური საქმიანობისთვის. ზომიერება დაიცავით. **ლომი** – მოსალოდნელია კარიერული წინსვლა. საქმე მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის გათვალისწინებით აკეთეთ. **ქალწული** – მივლინებაში, სამოგზაუროდ წასვლა სასურველი არ არის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ სითბოს ავლენენ. **სასწორი** – ხელმძღვანელ პირებთან, საჯარო მოხელეებთან ურთიერთობისათვის შესაფერისი დღეა. ყოველგვარ წინააღმდეგობას დაძლევთ. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა, აღსავსე ცდუნებებითა და ფუჭი ილუზიებით. ყოველგვარი რისკი გამორიცხეთ, განსაკუთრებით – კომერციული ოპერაციებისას. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. ხალისი გიბრუნდებათ. იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობაც. **თხის რქა** – ნუ მოდუნდებით. იაქტიურეთ, ისწავლეთ, იშრომეთ. ემოციების გამოხატვას ვარსკვლავები არ გირჩევენ. **მერწყული** – ძველი საქმეების დამთავრებას დღეს მოახერხებთ. გადაწყვეტილების მიღებისას რჩევა მეგობრებს ჰკითხეთ. **თევზები** – ბევრი საქმე გაქვთ, რომლებიც მყისიერ მოგვარებას მოითხოვს. არ იზარმაცოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# იამაიკაში ნიანგმა კაცი მოკლა

იამაიკაში ნიანგმა ქალაქ პორტმორის მცხოვრები 67 წლის მამაკაცი მოკლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



უილფორდ ჰელსშირის რაიონში მდებარე წყალსატევში კაცი წყალქვეშ სანადიროდ ოჯახისთვის სადილად თევზის მოსაპოვებლად იყო მისული. რეპტილია მას თავს იმ დროს დაესხა, როდესაც წყლის ნაპირთან იდგა. მეორე მეთევზის თვალწინ მტაცებელმა ხანშიშესულ მამაკაცს პირი სტაცა, წყალში ჩაითრია და მის სიღრმეში გაუჩინარდა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა საზღვაო პოლიციამ რეპტილიას სწრაფად მიაგნო. ედმონდსონის ნაცნობი, რომელიც ადგილზე მას შემდეგ მივიდა, როდესაც მომხდარის შესახებ შეიტყო, ამტკიცებს, რომ ნიანგს ადამიანის სხეული კვლავაც ყბებში ჰქონდა მოქცეული. მისი თქმით, პოლიციელები იძულებული გახდნენ, ცხოველისთვის კისერში ესროლათ, რათა ეიძულებინათ, ყბები გაეხსნა და ნადავლი მიეტოვებინა.

# სვირინგების ფანმა, ჩონჩხს რომ დამსგავსებოდა, ცხვირი და ყურები მოიჭრა

კოლუმბიელმა, ფსევდონიმით თავის ქალამ, ცხვირი და ყურები მოიჭრა და თვალებზე სვირინგები გაიკეთა, რათა ადამიანის ჩონჩხს დამსგავსებოდა.



მამაკაცმა აღიარა, რომ ბავშვობიდან გატაცებულია თავის ქალებით, თუმცა გარეგნობის შეცვლის დაწყება მხოლოდ დედის გარდაცვალების შემდეგ შეძლო, ვინაიდან მშობელი მის ასეთ რადიკალურ ბოდიმოდიფიკაციას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. 22 წლის კალაკა თავის ქალამ, რომლის ნამდვილი სახელია ერიკ იენიერ ინკაპიე რამირესი, პირველი პლასტიკური ოპერაცია ორი წლის წინ გაიკეთა.

მას შემდეგ მან ცხვირის დიდი ნაწილი და ყურის ნიჟარები მოიჭრა, ასევე შუაზე გაიჭრა ენა და მკვდრისფრად შეიღება. მან სვირინგები გაიკეთა თვალების გარშემო ისე, რომ თავის ქალის ბუდეებს დამსგავსებოდა, ასევე პირის ორივე მხარეს ყბების მსგავსი სვირინგები გაიკეთა, თმა კი სრულად გადაიპარსა.

კალაკა თავის ქალა პირველი ადამიანია კოლუმბიაში, რომელმაც საკუთარი ნებით მოიკვეთა ცხვირი და ყურები. ამან მის მიმართ ადგილობრივი პრესის ყურადღების გაზრდა გამოიწვია და კრიტიკის ობიექტადაც იქცა. თავად კი აღიარებს, რომ ამ ყოველივეს ყურადღებას არ აქცევს და აღნიშნავს, რომ ქუჩაში ფანები მასთან დიდი სიამოვნებით იღებენ სურათებს.

# ტერეზა მეის ცეკვამ ინტერნეტმომხმარებლები გააოგნა



ვიდეოზე გადაღებული დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტერეზა მეის ცეკვა კეიპთაუნის სკოლის მოსწავლეებთან სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი სამდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. კეიპთაუნის ერთ-ერთ სკოლაში სტუმრობის დროს ტერეზა მეი შეუერთდა ცეკვას, რაზეც სოციალური ქსელების მომხმარებლებს არაერთგვაროვანი რეაქცია ჰქონდათ. კერძოდ, ისინი გააკვირვა ბრიტანეთის ხელისუფლების მეთაურის მოძრაობებმა.

ზოგიერთმა ინტერნეტმომხმარებელმა ტვიტერში ტერეზა მეის მოძრაობა რობოტისას შეადარა, ზოგიერთმა, მის მიმართ მხარდაჭერა და საკუთარი სიმპათიაც გამოხატა, ნაწილმა კის პრემიერ-მინისტრის ცეკვას „საშინელი“ უწოდა.

# მელანია ტრამპმა ხის დასარგავად ქუსლიანი ფეხსაცმელი და ძვირფასი კაბა ჩაიცვა

აშშ-ის პირველმა ლედიმ მელანია ტრამპმა ისევ მიიპყრო პრესის ყურადღება. ამის მიზეზი კი გახდა მის მიერ შერჩეული სამოსი, რომელშიც თეთრი სახლის ტერიტორიაზე მუხის ნერგის დასარგავად გამოეწყო.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეიზენჰაუერის დროინდელი მუხის ხის ნერგის დასარგავად პირველმა ლედიმ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები მოირგო და 4 ათას დოლარად ღირებულ ვალენტინოს კაბაში გამოეწყო. ამასთან, ხის დარგვის დროს მელანიას მისცეს ოქროსფერი შეფერილობის ნიჩაბი. მას შემდეგ, რაც პირველმა ლედიმ ორმოში ორი ნიჩაბი მიწა ჩაყარა, ის თანმხლებთან ერთად იმ ადგილს გაეცალა.

მებაღეობის ექსპერტ ელის ფაულერის თქმით, დიდი ბრიტანეთის დედოფალიც კი ადგილზე იმ მომენტამდე რჩება, როდესაც ჩარგულ ნერგს წყალს დაუსხამენ.

# ედი მერფი მამა მეათედ გახდება



ამერიკელი მსახიობი ედი მერფი და მისი შეყვარებული პეიჯ ბატჩერი მეორედ გახდებიან მშობლები. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული პორტალი ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ წყვილს უკვე ჰყავს ორი წლის გოგონა, იზი. ამასთან, 57 წლის მერფის სხვა ქალებთან ურთიერთობის შედეგად კიდევ რვა შვილი ჰყავს. მსახიობის თქმით, სამყარო მათ ირგვლივ ბრუნავს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ედი მერფი და ავსტრალიელი მოდელი, 39 წლის ბატჩერი, ერთმანეთს უკვე ექვსი წელია, ხვდებიან.

# ნილ იანგმა ცოლი შეირთო



მომღერალი ნილ იანგი მსახიობ დერილ ჰანაზე დაქორწინდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა წყვილთან დაახლოებულ პირზე დაყრდნობით ავრცელებს.

გამოცემის მონაცემებით, საქორწინო ცერემონია კუნძულ სანხუანის მახლობლად მდგომ მუსიკოსის იახტაზე გაიმართა.

წყვილს შეუღლება გიტარისტმა მარკ მილერმა მიულოცა, თუმცა აღნიშნა, რომ ქორწილის თაობაზე მას მეგობარმა აცნობა, რომელიც ცერემონიას ესწრებოდა. მილოცვებს ნილ იანგის ბლოგის ადმინისტრატორიც შეუერთდა.

აღსანიშნავია, რომ ჰანა და იანგი ერთმანეთს 2014 წლიდან ხვდებიან, მას შემდეგ, რაც მუსიკოსი თავის მეუღლე პეგის დაშორდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 2. პატარა ბუ; 3. სახელმწიფო აზიაში; 4. ქართველი მწერალი, რომან „გმირთა ვარამის“ ავტორი; 5. იტალიელი მოდელიერი; 8. წმინდანად შერაცხული ქართველი არქიმანდრიტი, თეოლოგიის ლექტორი, პარიზში ქართული ეკლესიის დამაარსებელი; 9. ქართველი პოეტი ქალი; 12. ქვის, ღორღის დამქუცმაცებელი მანქანა; 14. მუსლიმანთა ყოველდღიური ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 16. ბრაზილიელი მწერალი.

**თარაზულად:** 1. საეკლესიო წესით ქორწინება; 6. სოფოკლეს ტრაგედია; 7. საკონდიტრო ნაწარმი; 9. წყალქვეშა სამუშაოებისათვის განკუთვნილი ჰერმეტული კამერა; 10. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ღვინის, ლუდის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 13. მოკლე ნიჩბით სამართავი სპორტული ნავი; 15. მინერალური წყალი სამეგრელოში; 17. ისტორიული მოედანი პარიზში; 18. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 19. ჩრდილო ამერიკაში ბინადარი დიდი დათვი; 20. პარიზის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ჯიბუტი; 2. გიენოსი; 3. ქობულაძე; 4. ინჟინერი; 8. რინოსკოპი; 9. კატალონია; 11. სკოტები; 12. ყავა; 14. შინი; 16. ესტაფეტა; 17. ნეისმიტი; 19. კომეტა; 21. „გენკი“.

**თარაზულად**: 5. კოტირება; 6. სელადონი; 7. ინტერპოლი; 10. შატილი; 13. „ინტერი“; 15. ავსტრია; 18. ასკოტი; 20. ემისია; 22. სამეგრელო; 23. შტიბლეტი; 24. ოკულისტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ქიმერა; 2. ფითი; 3. ლაფონტენი; 4. ტანგო; 5. ნეოლითი; 8. ხარება; 9. პარმეზანი; 12. ლეკები; 14. ოქსინო; 16. აიეტი.

**თარაზულად**: 1. ქლოროფილი; 6. გაბრიაძე; 7. მესხეთი; 9. პაგოდა; 10. დოჟი; 11. შეიკერი; 13. ფხოვი; 15. ლეჟავა; 17. დიონისე; 18. „ხეტაფე“; 19. დისნეი; 20. ყიფიანი.

## გიორგი გაგლოევი საავადმყოფოში მოხვდა



მსახიობი და ტელეწამყვანი გიორგი გაგლოევი საავადმყოფოში მოხვდა.

ფოტო სამედიცინო დაწესებულებიდან მსახიობმა თავად გაავრცელა:

– მოკლედ, წავედი და ოპერაციის მერე შემეხმიანეთ.

გიორგის განცხადებამ მის მეგობრებსა და გულშემატკივრებში დიდი ინტერესი გამოიწვია. როგორც მისმა კოლეგამ ნინო მუმლაძემ განაცხადა, გიორგის თირკმლიდან კენჭის ამოჭრა დასჭირდა.

## ბელარუსში საქართველოს კულტურის დღეები ჩატარდება

ბელარუსის რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეები ჩატარდება. ღონისძიებები საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავს მიეძღვნება.

მინსკში მოეწყობა ქართული ფილმების ჩვენება, გამოიფინება ქვეყნის დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ექსპოზიციები, გაიმართება „თბილისობის“ ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ჯგუფები, წარმოდგენილი იქნება ქართული ღვინო და სამზარეულო, ჩატარდება ქართული ცეკვისა და სამზარეულოს მასტერკლასები. ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“ კი ბელარუსი მაყურებლისთვის კონცერტს გამართავს.



ამ ღონისძიების დაგეგმვამდე შარშან შემოდგომაზე თბილისში ბელარუსის კულტურის დღეები ჩატარდა, რომლის ფარგლებში, საქართველოს ეწვია 60-კაციანი დელეგაცია, ბელარუსის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლების, ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრისა და ეროვნული ისტორიული მუზეუმის წარმომადგენლები.

## სამგლოვიარო განცხადებები

ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის მე-19 კორპუსის მცხოვრებლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### იური ლომიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

### ნათელა ცქვიტარია-ჯომიდავას მოგონება



სოხუმში, თავისუფლების საჯარო სკოლაში ერთად ვიღვწოდით სამშობლოსათვის, მართლმადიდებლობისათვის, პატრიოტიზმს ვუნერგავდით თაობებს. ქალბატონი ნათელა მაგალითის მიმცემი იყო კოლეგებისათვის.

ნათელა დაიბადა 1927 წლის 14 სექტემბერს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჭოღაში; ცხრა და-ძმანი იყვნენ. საშუალო სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. მეორე კურსიდან იძულებული ხდება, სასწავლებლად სოხუმის პედინსტიტუტში უცხო ენათა (გერმანული) ფაკულტეტზე განაგრძოს სწავლა. 1946 წელს წითელ დიპლომზე ამთავრებს უმაღლესს და იგზავნება გერმანულის მასწავლებლად ოჩამჩირის რაიონის მეორე-ათარის საშუალო სკოლაში. მალე გადაჰყავთ სოხუმში – თავისუფლების საშუალო სკოლაში; 1988 წელს ნათელა, ღვაწლმოსილი პედაგოგი, დამსახურებულ პენსიაზე გადის. ამაზე მეტყველებს მისი ტიტულები და ჯილდოები: საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, სახალხო განათლების წარჩინებული, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, რიგი ჯილდოები და ფულადი პრემიები.

ნათელა პანიკოს ასული 1992 წელს სოხუმში დატრიალებული ტრაგედიის გამო ოჯახთან ერთად იძულებით ტოვებს სოხუმს და თბილისში აგრძელებს ცხოვრებას. მეუღლე, შვილები და შვილიშვილები ნათელასათვის სიცოცხლე და ჯანმრთელობა იყო. ქართველი დედა ნათელა – ასე ვიცნობდით. დაუვიწყარია იგი ჩვენთვის – კოლეგებისთვის.

ქალბატონო ნათელა! 2018 წლის 5 სექტემბერს მეორმოცე დღე შესრულდება თქვენი წუთისოფლიდან გასვლისა.

დაე, უფალმა განამწესოს სული თქვენი ზეციურ სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ. ამინ!

*თავისუფლების საშუალო სკოლის პედკოლექტივი:*
*ლენა კიტია, ნანა ერქვანია, ნარი კოპალიანი,*
*ვანო დვალაძე, დავით შონია*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ქეთი დოლიძე შალვა ნათელაშვილს სასამართლოთი ემუქრება

რეჟისორი ქეთი დოლიძე ლეიბორისტული პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილს სასამართლოთი ემუქრება. რეჟისორმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ტელეკომპანია „იბერიას“ ეთერში სტუმრად მყოფმა პოლიტიკოსმა სიკო დოლიძის შესახებ განაცხადა, 30-40-იან წლებში ქართული ინტელიგენციის არაერთი წარმომადგენელი დაახვრეტინაო.



**ქეთი დოლიძე, რეჟისორი:**

– მივმართავ საქართველოს ყველა კინემატოგრაფისტს, უკლებლივ, კინოსტუდია „ქართულ ფილმს“, სიკო დოლიძის დაარსებულ კინოკავშირს!

მივმართავ პრემიერ-მინისტრს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს!!!

ეს ქვეყანაა, თუ ნათელაშვილისნაირი ნაძირალას საპარპაშო?!'

გაეცით პასუხი უზნეო შალვა ნათელაშვილს მამაჩემის ხსოვნის შეურაცხყოფის გამო!

1937 წელს, კინემატოგრაფისტები იყვნენ ის ხალხი, რომელთაც არასდროს, არაფერი შეშლიათ!

სიკო დოლიძე იყო უმწიკვლო ადამიანი!!!

რა ზნედაცემული უნდა იყო, დიდ რეჟისორს რომ ეს დააბრალო!

სასამართლოში მიბრძანდები, უზნეო კაცო!

**ქეთევან კიკნაძე, მსახიობი:**

– ვერავითარი ნაძირალა სიკო დოლიძის სახელს ჩრდილს ვერ მიაყენებს. ეს იყო მოღვაწე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა და განავითარა ჩვენი კინო-ხელოვნება, მისი ღვაწლი დიდია ჩვენს კინო-ხელოვნებაში. დღესაც ცოცხლობს და კვლავ იარსებებს მისი ფილმები, უმწიკვლო, სუფთა ადამიანი. სცენარისტი და საღად მოაზროვნე ადამიანი.

ვიძახით ამ ნათელაშვილზე გიჟია, გიჟიაო, როგორც მომხვეჭელი გიჟია არ არის? ასეთი ადამიანებისგან შემდგარი ბანდა იყო ავბედითი 37 წელი. დაწყევლილ იქნას ჩვენი წარსულისა და კულტურის შემბღალავი. რა ხელი აქვს გაუნათლებელს და ნაძირალას ჩვენს წმინდათაწმინდა სულიერ სამყაროსთან.

მე, როგორც მოქალაქე და მოამაგე ქართული კულტურის, ყოველთვის ვიქნები და ვარ ჩემი ქვეყნის კულტურის სადარაჯოზე ქომაგად, რითიც უნდა ამაყობდეს ყოველი ქართველი.

## ელისო ბოლქვაძე ბათუმში ფესტივალს მოაწყობს

2 სექტემბრიდან იუნესკოს მშვიდობის არტისტი, ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე ბათუმში რიგით მეექვსე საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს ჩაატარებს.



გასული წლის მსგავსად, წელსაც, ფესტივალი იუნესკოს მაღალი პატრონაჟით მიმდინარეობს. ელისო ბოლქვაძის მიწვევით, ბათუმს ესტუმრებიან მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსები, პიანისტი ბარი დუგლასი, ლიზ დე ლასალი, დირიჟორი მირონ მიხაილიდისი და უცხოეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მუსიკოსები.

ბათუმის ფესტივალი 10 დღის განმავლობაში გაგრძელდება. ის ერთადერთი კულტურული ღონისძიებაა, რომელმაც იუნესკოს მაღალი პატრონაჟი წელს მეორედ მოიპოვა.

ფესტივალის მიზანია საქართველოში კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია და ახალგაზრდა ქართველი ტალანტების წარმოჩენა საერთაშორისო სცენაზე.

2 სექტემბერს ბათუმის მუსიკალური ცენტრის დიდ დარბაზში დავით მუქერიას დირიჟორობით, მაყურებლის წინაშე წარდგება ვინიავსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი ვერიკო ჭუმბურიძე, ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტით.

პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს არტკამპის პროგრამა, რომელიც გულისხმობს 12-20 წლის მოსწავლეების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მათთვის სპეციალურად შემუშავებული ინოვაციური მუსიკალური ტრეინინგების ჩატარებას. 7 სექტემბერს ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში გაიმართება „ნორჩი ვირტუოზების“ გალა კონცერტი. საფორტეპიანო ლიტერატურის შედევრებს შეასრულებს 8 ახალგაზრდა პიანისტი საქართველოდან და ლიტვიდან. კონცერტი საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავს მიეძღვნება.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართება ცნობილი ფრანგი პროფესორის, საფორტეპიანო ინოვაციური მეთოდოლოგიის ავტორის, მიშელ სონის მასტერკლასები ნორჩი პიანისტებისთვის.

12 სექტემბერს ფესტივალს დაასრულებს ელისო ბოლქვაძის სოლოკონცერტი რევაზ ლაღიძის გოგონათა გუნდის მონაწილეობით.

## ბათუმი ფოტოდღეებს უმასპინძლებს

ბათუმში გაიმართება „ბათუმი ფოტოდღეები“ და ეს იქნება პირველი წელი, როდესაც ბათუმში ფოტოდღეების ფესტივალი ჩატარდება განახლებული და უფრო მრავლისმომცველი კონცეფციით.



უკვე 4 წელია, იგი ცნობილია საერთაშორისო საზოგადოებისათვის „ოდესა-ბათუმი ფოტოდღეების“ სახელწოდებით. ფოტოდღეების თემა და, შესაბამისად, მთავარი გამოფენის სახელწოდება არის „ნახე გამოცდილება“ ან „ზღვა გამოცდილება“. იდეა დაფუძნებულია განსხვავებული ხედვისა და ღრმა განცდის უნარზე, ზღვა, როგორც სუბსტანციის სიმბოლო, გარემოს ან პირადი ჰორიზონტის. გამოცდილება ყოველთვის ინდივიდუალურია, მაგრამ ამავდროულად იგი ყოველთვის საზოგადოებასთანაა გაზიარებული და როდესაც ის პასუხობს საერთო მოთხოვნას, მას მოსდევს მოსალოდნელი ზემოქმედება და შედეგი.

ფოტოდღეების ფარგლებში გაიმართება 4 გამოფენა, მთავარი გამოფენა ბათუმის ბულვარში, კოკა რამიშვილისა და გიორგი ნებიერიძის გამოფენები ბათუმის თანამედროვე ხელოვნების სივრცეში და „მეიდ ინ ფოტო“ გამოფენა აჭარის ხელოვნების მუზეუმში. წარმოდგენილი იქნება გიორგი ნებიერიძის და კოკა რამიშვილის ფოტოლაბი, რომელშიც გამარჯვებული მონაწილეები მიიღებენ მხარდაჭერას 2019 წელს საკუთარი პროექტის რეალიზებისათვის, ბათუმის თანამედროვე ხელოვნების სივრცეში. ფოტოდღეების მენტორები არიან კოკა რამიშვილი, გიორგი ნებიერიძე, ნათელა გრიგალაშილი და ანნა ჩისტოზერდოვა ბელორუსიიდან.

მთავარ გამოფენაში მონაწილეობას იღებს 26 კონკურსანტი 14 სხვადასხვა ქვეყნიდან: საქართველო, უკრაინა, გერმანია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ტაილანდი... ეს გამოფენა კონცეპტუალური ფოტოგრაფიული გამოსახულების ინსტალაციაა, რომლის მიზანია ახალი პლატფორმის შექმნა საერთაშორისო სახელოვნებო საზოგადოებისათვის. გამოფენა ეძღვნება ინდივიდებს, რომლებმაც ზეგავლენა იქონიეს ან შეცვალეს ისტორია, და მათ, რომლებიც მომავალში გააგრძელებენ ცვლილებების მოხდენას. ისტორია გვასწავლის რომ, ერთ სიტყვასა და პატარა გამოსახულებას აქვს ძალა გამოიწვიოს უდიდესი ცვლილება.

ორგანიზატორები მიზნად ისახავენ, საფუძველი ჩაუყარონ არა მხოლოდ მონაწილეებთან მომავალ თანამშრომლობას, არამედ ინსპირაციულ პროექტებს, რომლებიც შემდგომ შეიძლება გადაიზარდოს მხატვრულ ან დოკუმენტურ ფოტო პროექტებში, ხოლო მოგვიანებით კი განხორციელდეს ბათუმის თანამედროვე ხელოვნების სივრცეში და ხელი შეუწყოს სრულიად ახალი ექსპერიმენტისა და სექტორთა შორის თანამშრომლობას.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

### კალეიდოსკოპი

## ახალ ზელანდიაში შინაური კატების აკრძალვას აპირებენ

ახალი ზელანდიის ქალაქ ომაუის ხელისუფლებამ მათგან ადგილობრივი ფრინველებისა და სხვა ცხოველების დასაცავად შინაური კატების ყოლის აკრძალვის წინადადება წამოაყენა.



თუ ეს გეგმა დამტკიცდება, ყველა კატის დარეგისტრირება, დაკოდვა და მათი ჩიპით აღჭურვა მოხდება. როდესაც ისინი დაიხოცებიან, მათ პატრონს სხვა კატის აყვანის უფლება აღარ ექნება. ამ ყოველივეს შედეგად რამდენიმე წლის შემდეგ ახალი ზელანდიის სამხრეთ კუნძულზე არც ერთი კატა აღარ დარჩება.

ამ გეგმის ავტორები თვლიან, რომ ეს აუცილებელია იმ ფრინველების შესანარჩუნებლად, რომლებიც მხოლოდ ახალ ზელანდიაში ბინადრობენ.

– ჩვენ მათ რიცხვს არ ვეკუთვნით, რომლებსაც კატები სძულთ, – განაცხადა ქალაქ ომაუის ბუნების დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელმა ჯონ კოლინზმა, – მაგრამ შინაური ცხოველების პატრონების საკუთარი საყვარელი ცხოველების მიმართ სრული პასუხისმგებლობით მოკიდებას ვემხრობით. კატების ადგილი აქ არ არის.

კატების აკრძალვა სრულიად შეესაბამება ქვეყნის ხელისუფლების ღონისძიებებს ახალ ზელანდიაში შემოყვანილ მტაცებლებთან ბრძოლაში. ადგილობრივი ცხოველების გადასარჩენად დაგეგმილია 2050 წლისთვის ქვეყანაში ყველა ვირთხის, ოპოსუმისა და სინდიოფალას განადგურება, რომლებიც კუნძულებზე სხვა კონტინენტებიდან მოხვდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

1 სექტემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.5803

ევრო — 3.0184

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3590

100 რუსული რუბლი — 3.7901

**ამინდის პროგნოზი 1 სექტემბრისთვის**




## საბა კვირკველია: „ლოკომოტივი ჯგუფიდან უნდა გავიდეს“

მოსკოვის ლოკომოტივის მცველმა საბა კვირკველიამ განაცხადა, რომ მის გუნდს კენჭისყრის დროს გაუმართლა და ლოკომოტივმა ჯგუფიდან გასვლისთვის უნდა იბრძოლოს.



საბას აზრით, ლოკომოტივს სამივე მეტოქის დამარცხება შეუძლია.

– თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კენჭისყრის დროს გაგვიმართლა, რადგან არც ერთი გრანდი ჩვენს ჯგუფში არ არის. შალკე, პორტო და გალათასარაი კარგი გუნდები არიან, მაგრამ მათი დამარცხება შეგვიძლია. ყველაფერი ჩვენს ხელშია, – განაცხადა საბა კვირკველიამ. ჩემპიონთა ლიგა სტარტს 18 სექტემბერს აიღებს.

## ალეგრი: „რონალდო გაბრაზებულია“



იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრიმ განაცხადა რომ კრიშტიანო რონალდო გაბრაზებულია იმის გამო, რომ მან ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო ვერ მოიპოვა და ეს პრიზი მოდრიჩს ხვდა წილად:

– რონალდო თვლის, რომ ის ამ ჯილდოს იმსახურებდა, ამიტომ ის ძალიან გაბრაზებულია, მაგრამ იუვენტუსისთვის ეს კარგია, რადგან რონალდო უფრო აქტიურად ვარჯიშობს, რომ ყველას დაუმტკიცოს თავისი ძალა.

## რეალმა მარიანო დიასი დაიბრუნა



მადრიდის რეალში ფორვარდი მარიანო დიასი დაბრუნდა, რომელიც ლიონში იყო განათხოვრებული და ორი სეზონი ამ გუნდის ღირსებას იცავდა.

რეალს მისი გამოსყიდვის უფლება ჰქონდა და სამეფო გუნდმა ეს უფლება გამოიყენა.

რეალში ყოფნის დროს მარიანოს ხშირად არ ეძლეოდა თამაშის საშუალება, თუმცა მან მაინც შეძლო რამდენიმე გოლის გატანა რეალის მაისურით.

ლიონში მარიანო ერთ-ერთი ლიდერი და ბომბარდირი იყო, მემფის დეპაისთან ერთად.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მოცურავემ ზვიგენისგან თავი მუშტის დარტყმით დაიხსნა

ამერიკელმა მასზე ზვიგენის თავდასხმის შესახებ ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემასთან ისაუბრა.

61 წლის ნევროლოგი უილიამ ლიტონი მასაჩუსეტსში ნახევარკუნძულ კლეიპ-კოდის სანაპიროზე ისვენებდა. მისი თქმით, მტაცებელმა თევზმა მას მარცხენა ფეხზე იმ დროს უკბინა, როდესაც ზღვაში ისეთ ადგილზე იმყოფებოდა, სადაც წყლის სიღრმე 2,5-დან სამ მეტრამდე აღწევდა. მან ზვიგენს მუშტი რამდენჯერმე ჩასცხო ლაყუჩებში, რათა ეიძულებინა, ყბები გაეხსნა და მისი ფეხი გაეთავისუფლებინა.



ზვიგენის თავდასხმის შემდეგ ლიტონი საავადმყოფოში აღმოჩნდა. მას ექვსი ოპერაცია გაუკეთდა და იქიდან ორი კვირის შემდეგ გამოწერეს, თუმცა სრული გამოჯანმრთელებისთვის კიდევ რამდენიმე კვირა დასჭირდა. მისი თქმით, მიუხედავად ამ ყველაფრისა, ის მადლიერია, რომ ამ შემთხვევის შემდეგ ცოცხალი გადარჩა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, დღეს მთელი ღამე ძილში ლაპარაკობდი და დედაჩემს არცთუ კეთილი სიტყვებით მოიხსენიებდი.

– ღამით საერთოდ არ მძინებია!

●●●

სკანდალი ვეგეტარიანელთა ოჯახში. ქმარი ცოლს უყვირის:

– ეს რა მომიმზადე?

– ეს ძალიან სასარგებლო სალათია...

– მე მთელი დღე თავაუღებლად იმისთვის არ ვშრომობ, რომ რაღაც სალათი ვჭამო. მამაკაცი ვარ და სოიოს კოტლეტები მინდა!

●●●

ცოლ-ქმარი ღამით საწოლში. ცოლი ეუბნება:

– საყვარელო, ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ ახლა მაინც მინდა შენგან კიდევ ერთხელ მოვისმინო – გიყვარვარ?

ქმარი მცირე ფიქრის შემდეგ:

– რამდენი?

– 3500 დოლარი საყვარელო, ნიანგის ნატურალური ტყავის ხელჩანთაა, უეჭველად მოგეწონება.

გარკვეული დროის შემდეგ ქმარი ცოლს:

– ძვირფასო, გითხარი, რომ მიყვარხარ, რომ ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი და განუმეორებელი ხარ მთელ მსოფლიოში?

ცოლი მცირე ფიქრის შემდეგ:

– რამდენი?

– ორ დღე, საყვარელო, წავითევზავებ და დავბრუნდები.

●●●

მდივანი ფირმის დირექტორს მოახსენებს:

– ბატონო დირექტორო, ახლახან წერილი მოვიდა საჰარაში ჩვენი ფილიალიდან.

– მერე, რაო?

– იწერებიან, რომ იქ წყლის უკმარისობის კატასტროფული მდგომარეობა აქვთ.

– ეგენი სულ რაღაცას იგონებენ.

– ვერ დაგეთანხმებით, ბატონო დირექტორო, აი, ნახეთ, მარკა კონვერტზე ჭიკარტითაა დამაგრებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენი ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## იახტიდან გადავარდნილმა ძაღლმა ხუთი კილომეტრი გაცურა და ნაპირზე გააღწია

ძაღლმა, რომელიც ქარიშხლის დროს იახტიდან გადავარდა, მოახერხა, ხუთი კილომეტრი გაეცურა და ხმელეთზე გავიდა.



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ სარასოტას მკვიდრ შეინ ჰეილს სურდა, იალქნიანი გემით მთელი მსოფლიო შემოევლო. მოგზაურმა თან მხოლოდ საყვარელი შინაური ცხოველი, ძაღლი, სახელად ჰარლი, წაიყვანა.

ფლორიდის დასავლეთ სანაპიროსთან იახტა ძლიერ ქარიშხალში მოყვა. ხომალდი დიდი გაჭირვებით უძლებდა ტალღებს და წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა. მას წრეზე უხდებოდა ცურვა, ვინაიდან ძრავამ უმტყუნა. ქარიშხალმა კი ანძა გადატეხა, რომლის ნაწილიც ჰეილს დაეცა და მამაკაცმა გონება დაკარგა.

როდესაც ის გონს მოვიდა, ჰარლი ვერსად ნახა. ქარიშხლის დროს ტალღებმა ძაღლი გემბანიდან გადააგდეს. ჰეილი სანაპირო დაცვას დაუკავშირდა დახმარება ითხოვა. მართალია, ქარიშხალმა იახტა, ფაქტობრივად, გაუნადგურა და მთელი მარაგიც დაკარგა, მას მხოლოდ დაკარგული ძაღლის ბედი აღელვებდა.

– მამაკაცი სრულ სიმტკიცეს ინარჩუნებდა, – განაცხადა სამაშველო ხომალდის კაპიტანმა, რომელიც ჰეილის დასახმარებლად მივიდა, – ის მხოლოდ ამბობდა: „ძაღლი უნდა ვიპოვოთ. მიმიფურთხებია იახტისთვის, მე მხოლოდ ჩემი ძაღლი მაინტერესებს“. თქვენ ვერც წარმოიდგენთ, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ხმელეთზე გადასვლის შემდეგ უიღბლო მოგზაურმა განცხადება გამოაქვეყნა დაკარგული ძაღლის შესახებ. თითქმის ერთი დღის შემდეგ მას დაურეკა პიროვნებამ, რომელმაც ჰარლი პლაჟზე იპოვა. ძაღლმა შეძლო, ხუთი კილომეტრი გაეცურა სამმეტრიანი ტალღების პირობებში და ხმელეთამდე მშვიდობიანად მიეღწია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მექსიკური არაყი; 2. ქართველი კომპოზიტორი; 3. მდინარე აშშ-ში; 4. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 8. მიწისქვეშა საკომუნიკაციო საშუალებათა შემკრები ნაგებობა; 9. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ერთ-ერთი სრუტე; 11. სამშენებლო მასალა; 12. დედალი ჯიხვი; 14. ირლანდიური ცეკვა; 16. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 17. რაიონული ცენტრი გურიაში; 19. ქერისა და ჭვავისგან მომზადებული უალკოჰოლო, გამაგრილებელი სასმელი; 21. ნავსადგური უკრაინაში.

**თარაზულად:** 5. ჩინური ნავთობკომპანია; 6. ქალაქი ავსტრიაში; 7. ესპანელი მხატვარი; 10. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 13. ფულის ერთეული ანგოლაში; 15. გულუბრყვილო ქალების როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში ძველად; 18. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 20. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 22. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი საფრანგეთის აღმოსავლეთში; 23. ქალაქი სამცხე-ჯავახეთში; 24. სახელმწიფო ევროპაში.



*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*